# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 2006 წელი.

№ 257 (5598)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# სად არის ზვიად გამსახურდიას საფლავი?

3





## სახალხობანკელმა ვინმე თამუნამ კინაღამ არ ჩამიმწარა ეს ახალი წელიწადი 6



3

## მწვანე სტაფილო ნაძვისხის ნაცვლად

## სააკაშვილმა იაფი გაზი ვერ იპოვა 10

## ხელისუფლებამ აფხაზებთან ურთიერთობაში საინტერესო ნიუანსი გაუშვა ხელიდან 2

# სახელმწიფო



**საქართველოს ხელისუფლებამ და მასთან დაპირისპირებულმა კონფლიქტური რეგიონების ხელმძღვანელობამ, სჯობს, გაერთიანებული სახელმწიფო შექმნან და ერთობლივ მართვაში კომპეტენციები კვოტირების პრინციპით გადაინაწილონ**

№ 257. ოთხშაბათი. 27 დეკემბერი. 2006 წელი.

## კანონმდებლები

### ითხოვენ ბუნებრივი გაზის სუბსიდირებას

**ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებით, მთავრობამ უნდა იზრუნოს, რომ გაზის საფასური არ გაძვირდეს და სამი თვის განმავლობაში ბუნებრივი გაზის საფასურის სუბსიდირება მოხდეს.**

ამასთან, გამყრელიძემ გუშინდელ რიგგარეშე სესიაზე მოითხოვა, რომ დღეიდან ბიუჯეტის განხილვა დაიწყოს და პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა პარლამენტარებს აცნობოს, როგორ მოხდება გაზის ტარიფის სუბსიდირება.

* * *

**„მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენელი დავით საგანელიძე „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ მოსახლეობისთვის წაყენებულ პირობებს აპროტესტებს.**

როგორც საგანელიძემ პარლამენტის დღევანდელ რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, კომპანია მოსახლეობისგან გაზის მრიცხველების კომპანიის ოფისებში მიტანას ითხოვს, რათა მრიცხველები შემოწმდეს, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კი მათ 500-ლარიანი ჯარიმა დაეკისრებათ.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ კომპანიას არა აქვს უფლება, მსგავსი სახის მოთხოვნები წამოაყენოს.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ასეთ ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი და ეს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ უფლებამოსილების გადამეტებაა.



მისივე თქმით, გაიმართა შეხვედრა თბილისის ხელმძღვანელობასა და კომპანიის წარმომადგენლებთან და ამის შემდეგ ასეთი ფაქტები აღარ განმეორებულა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, თუ სადმე მსგავსი ფაქტი კიდევ დაფიქსირდება, ამ საკითხზე დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს უნდა აცნობონ.

### უმრავლესობა ოპოზიციას უტევს

**უმრავლესობის წევრი ვახტანგ ბალავაძე „დემოკრატიული ფრონტის“ წევრის დავით ზურაბიშვილის მიერ ნასესხები 70 ათასი ევროთი კიდევ ერთხელ დაინტერესდა. გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე ბალავაძემ იკითხა, რატომ არ წარუდგინა საპროცედურო საკითხთა კომიტეტს საჭირო საბუთები მსესხებელმა.**

პარლამენტარი ირაკლი ქავთარაძე კახა კუკავას კუთვნილი სამსართულიანი სახლით დაინტერესდა და კიდევ ერთხელ გაიხსენა კობა დავითაშვილის ნასესხები 20 ათასი დოლარი.

როგორც ქავთარაძემ აღნიშნა, როდესაც ოპოზიცია საუბრობს სხვის ქონებაზე, კარგი იქნება, თავის ქონებასაც თუ გადახედავს.

დავით ზურაბიშვილის თქმით კი, იგი არ აპირებს „მესამე ეშელონის“ წარმომადგენელთა განცხადებებზე კომენტარი გააკეთოს.

### კიდევ ერთი ქართველი გარდაიცვალა

**მოსკოვში რუსეთის საემიგრაციო სამსახურის მიერ დაკავებული კიდევ ერთი ქართველი ლიონ კუკავა გარდაიცვალა. ამის შესახებ განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინდელ რიგგარეშე სესიაზე გააკეთა.**

ბურჯანაძის თქმით, ცნობილი გახდა, რომ გარდაცვლილს ახლობლები დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ და ბოლოს იგი მოსკოვის ერთ-ერთ პროზექტურაში იპოვნეს.

როგორც ცნობილია, კუკავას გარდა, რუსეთში კიდევ ორი დეპორტირებული თენგიზ ტოგონიძე და მანანა ჯაბელია დაიღუპნენ.

წინასწარი ინფორმაციით, 56 წლის ლიონ კუკავა რუსეთის ფედერაციის საემიგრაციო სამსახურმა 13 ნოემბერს დააკავა.

**ამასთან, დღესვე რუსეთის ფედერაციიდან დეპორტირებულთა საქმის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ნიკა გვარამიამ პარლამენტს კომისიისთვის ვადის გაგრძელების თხოვნით მიმართა. პარლამენტმა გვარამიას ეს თხოვნა დააკმაყოფილა და კომისია მუშაობას კიდევ ერთი თვე გააგრძელებს.**

## მინისტრის აზრი

# გელა ბეჟუაშვილმა განვლილი წელი შეაჯამა

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, სამინისტროს სტრატეგიული მიზანი იყო და რჩება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საერთაშორისო მხარდაჭერის კონსოლიდაცია.**



— ამ მხრივ მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნება. საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების თემა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ყურადღების ცენტრში მოექცა და მათი დღის წესრიგის მუდმივი საკითხი გახდა, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა 2006 წლის შემაჯამებელ ბრიფინგზე.

მინისტრის განცხადებით, შემუშავდა კონფლიქტების მოგვარების ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამშვიდობო გეგმების განხორციელების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

* * *

**რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მინისტრის განმარტებით, 2007 წელს საქართველო რუსეთთან სამეზობლო მშვიდობიან პოლიტიკას გააგრძელებს და კვლავინდებურად შეეცდება სტაბილური ურთიერთობა დაამყაროს მეზობელ ქვეყანასთან.**

— ის წარმატებები რომელსაც საგარეო უწყებამ მიაღწია, მნიშვნელოვანწილად ჩვენი მთავრობის გუნდის ერთიანმა კოორდინირებულმა მუშაობამ განაპირობა. წელს, პირველად საქართველოს საგარეო უწყების ისტორიაში, შევიმუშავეთ კონცეპტუალური დოკუმენტი, საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2006-09 წლებისათვის, რომელიც საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ დაგეგმვას დაედო საფუძვლად, — განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2007 წლის ზაფხულში დსთ-ში ყოფნა-არყოფნის შესახებ სპეციალურ დასკვნას მოამზადებს.

**— დსთ-დან გამოსვლა არ არის ჩვენი თვითმიზანი. ჩვენ, პირველ რიგში, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვიმოქმედოთ. დსთ-ში დარჩენისა, თუ თანამეგობრობიდან გამოსვლის მოსალოდნელი შედეგების შესახებ, 2007 წლის ზაფხულში საგანგებო დასკვნა შემუშავდება. დასკვნის მიხედვით საქართველოს ხელისუფლება გადაწყვეტილებას მიიღებს,** — განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა.

## „საქართველო ნატოში“

# შალვა ფიჩხაძე: საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზებთან ურთიერთობაში საინტერესო ნიუანსი გაუშვა ხელიდან

**საქართველოს ხელისუფლებამ და მასთან დაპირისპირებულმა კონფლიქტური რეგიონების ხელმძღვანელობამ, სჯობს, გაერთიანებული სახელმწიფო შექმნან და ერთობლივ მართვაში კომპეტენციები კვოტირების პრინციპით გადაინაწილონ.**

ამ მოსაზრებას არასამთავრობო ორგანიზაცია **„საქართველო ნატოში“** თავმჯდომარე **შალვა ფიჩხაძე** გამოთქვამს.

მისივე შეფასებით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ აფხაზებს საქართველოს გარდა სხვა სამშობლო არა აქვთ და თავიანთი ეროვნულობს შენარჩუნება სურთ, რაც მათში შიშისა და დაუცველობის გრძნობას განაპირობებს.



**— გამორიცხული არ არის, აფხაზები დევნილების დაბრუნებას ამ შიშის გამო ეწინააღმდეგებოდნენ,** — აცხადებს ფიჩხაძე.

მისივე განცხადებით, მცდარია შეხედულება, თითქოს დაპირისპირებულ მხარეებს თანაცხოვრება არ შეუძლიათ. — **მათ მხოლოდ ქვეყნის ერთად მართვა უჭირთ,** — აცხადებს ფიჩხაძე და მიიჩნევს, რომ **საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზებთან ურთიერთობაში საინტერესო ნიუანსი გაუშვა ხელიდან, როდესაც დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი შამბას შემოთავაზებას, „შავი ზღვის რეგიონში დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამშრომლობის პერსპექტივებზე,“ უარი უთხრა.**

**— ეს ხელჩასაჭიდი დეტალი იყო, რადგან შავი ზღვის რეგიონში ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყნები შედიან. შესაძლოა, აფხაზები ამაში ჩიხიდან გამოსვლის საშუალებას ხედავდნენ,** — განაცხადა ფიჩხაძემ.

მისი შეფასებით, აფხაზების შიშისა და ინტერესების გაუთვალისწინებლობა საკმარისი კოზირია მათთვის, ვისთვისაც ეს კონფლიქტი პოლიტიკური ვაჭრობის მიზეზია. — ურთიერთობის ასეთ რეჟიმში ვერაფერს მივაღწევთ. ეს წულოვანი ჯამის რეჟიმია,— მიაჩნია ფიჩხაძეს და აცხადებს, რომ საქართველოში ტერიტორიული კონფლიქტები მოგვარდება, თუკი საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო კომპონენტებს და უშუალო კონტაქტებს თანაბრად გამოიყენებს.

* * *

**ნატოში საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან ერთად გაწევრიანება ალიანსში უპრეცედენტო შემთხვევა იქნება.**

— ნატოს თავის წევრად არასოდეს მიუღია ქვეყანა, რომელსაც საქართველოს მსგავსი კონფლიქტები ჰქონდა. საქართველოს კონფლიქტებიანად გაწევრიანების შემთხვევაში, ნატო წევრად მიიღებს ქვეყანას, რომლის ნაწილსაც ნატოს არაწევრი სახელმწიფო აკონტროლებს, ეს კი ალიანსის ავტორიტეტზე იმოქმედებს, — აცხადებს ფიჩხაძე.

მისივე თქმით, ალიანსის ხელმძღვანელმა თავის დროზე განაცხადა, რომ **— კოფლიქტები საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციას ხელს არ შეუშლის.**

**— მაგრამ ინტეგრაცია მხოლოდ პროცესია და იგი წევრობას არ ნიშნავს,** — განაცხადა ფიჩხაძემ.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## კონფლიქტის ზონა

# რისი გამოსწორებაც შეიძლება

**დღეს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის კომისიის სხდომაზე იმსჯელებენ ახალ პროექტზე, რომელსაც ჰქვია „პროდუქტი კონფლიქტის ზონიდან“. კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია აღნიშნული პროექტის კონკრეტულ გეგმას წარმოადგენს, რაც პროექტში ეკონომიკის, ფინანსთა, სოფლის მეურნეობის, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და კონფლიქტების დარგში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ჩართვას ითვალისწინებს.**

პროექტის მიზანია კონფლიქტურ ზონებში ადამიანის უფლებების საკითხებზე სერიოზული და მასშტაბური კონფერენციის ჩატარება და კონფლიქტებთან მიმართებაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკურ-სამართლებრივი მიმართულების ჩამოყალიბება.

ასეთი სერიოზული კონფერენციის მომზადებისთვის, ბუნებრივია, შესაბამის უწყებებს გარკვეული დრო დასჭირდებათ. თარიღი სამინისტროებთან შეთანხმებით დადგინდება. უწყების ხელმძღვანელები თავიანთი მიმართულებით მოხსენებებს წარმოადგენენ, სადაც მითითებული იქნება, კონფლიქტის ზონაში რა ტიპის დარღვევები აღინიშნა და რისი გამოსწორება და პრევენცია შეიძლება.

პროექტის ავტორები დარწმუნებული არიან, რომ ეს კონფერენცია ინტეგრაციას ხელს ეკონომიკური და სამართლებრივი მიმართულებით ერთნაირად შეუწყობს. საუბარია ორივე კონფლიქტური რეგიონის ინტეგრაციასა და, პრობლემის გადასაწყვეტად სამინისტროებისა და პარლამენტის შეთანხმებულ მოქმედებაზე.

მოგეხსენებათ, იანვრიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის პროცესი უნდა დაიწყოს. **„ეს საკითხი უკვე მომწიფებულია. თუ სამშვიდობოებად წოდებული რუსები არ გავლენ, ზომებს მივიღებთ. თუ ამაში გაერო არ დაგვეთანხმება, 15 აპრილისთვის ამ სამშვიდობოებს კანონგარეშედ გამოვაცხადებთ. ამისთვის ნიადაგი მომზადებულია. მსოფლიოში სიტუაცია ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა და რუსეთის გარდა ვერავინ იტყვის, რუსეთის სამშვიდობო ჯარის ყოფნა აუცილებელია საქართველოსთვისო“,** — აცხადებს ტერიტორიული მთლიანობის კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია.

შეგახსენებთ, რუსეთის სახელმწიფო დუმამ ცოტა ხნის წინ მიიღო დადგენილება, რომლითაც თავის დონეზე ცნო საქართველოს კონფლიქტური ზონების დამოუკიდებლობა. ამის თაობაზე მსოფლიომ შეიტყო. ბუნებრივია, რომ მას შემდეგ, რაც დუმამ ჩაიდინა, რუსეთი კონფლიქტების მოგვარების პროცესში ნეიტრალურ მხარედ ვერანაირად ვერ მოიაზრება. საქართველოს პარლამენტში მიიჩნევენ, რომ დუმის უკანონო ქმედებამ სამშვიდობოების გაყვანის პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა.

**მზია გელენავა**

● ჩეჩნეთის ხელისუფლება ოფიციალურად აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას ცხედარი უკვე გადასვენებულია ჩეჩნეთის ტერიტორიიდან. თითქოს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხედარი მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ წაასვენა





◎ ჩვენ გამორჩეულები ვართ

# მწვანე სტაფილო ნაძვისხის ნაცვლად,

## ანუ რამდენი ხანია, საცივი არ გიჭამია სევასტი ბიძია?

**სხვა, ჩემს ადგილას, იქიდან დაიწყებდა, როგორ, როდიდან, რატომ მაინცდამაინც ნაძვის ხეო.**

რა მნიშვნელობა აქვს — როგორ, როდიდან და რატომ!

ეგეც არ იყოს, რა ძნელი საკვლევი ეგ არის: ნაძვის ხე ახალწლის მეკვლეა იქ, სადაც ნაძვი ხარობს, თორემ სადმე აფრიკაში, ალბათ, baობაბია ზეიმის ბრენდი (ძლივს არ ჩავაკვეხე ეს მოდური და უპოპულარესი სიტყვა?!ძ, კუნძულ ახალ გვინეაზე — პაპაია (ანუ ნესვის ხეძ და ა. შ...

ჰოდა, თუ ჩვენ პატარები ნაძვისხის გარშემო დაჟღურტულებენ:

**ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო,**
**მორთულო და მოკაზმულო...**

შესაბამისად, სადღაც სავანაში ფუნით თმაშეგლესილი მასაის ტომის ბავშვები ბოთლისმაგვარს ბოტანიკურ უცნაურობას უვლიან გარშემო:

**ლამაზი ხარ baობაბო,**
**შემოგხარით ბაო, ბაბო...**

მიკლუხო-მაკლაის სანაპიროზე ცხვირში ჩხირგაყრილი პაპუასი გოგო-ბიჭები კი ფერხულს უვლიან:

**მოგვიტანა პაპაია**
**ჩვენმა კარგმა პაპაიამ...**
**რა კარგი ხარ, ნესვის ხეო,**
**ერთი ნესვი გვასესხეო...**

და ა. შ. და ა. შ.

სადაც წიწვოვანი, ბოთლოვანი და ნესვოვანი ნაკლებად არის, მაგალითად გურიაში, იქ თხილის ტოტებს აჩიჩილაკებენ და სხვაზე ნაკლებად როდი კალანდობენ.

ერთი სიტყვით, ვისაც როგორ მოეხერხება.

ზოგან სულაც ლითონკონსტრუქციებით გადიან იოლად

შარშან, მაგალითად, გახსოვს, ძვირფასო მკითხველო, თბილისის მერიამ რკინის „ნაძვის ხის“ გარშემო რომ ატინგიცა ხალხი (ის ჯართი „ნეტავ ახლა სად არის და რომელ მხარესა?“ძ.

მაგრამ შარშანდელ ავანგარდისტულ წიალსვლას მიმსგავსებული სილუეტი მაინც ჰქონდა და გამჭრიახი კაცი მიხვდებოდა, ამის ავტორს უთუოდ ნაძვის ხე ჰქონდა მხედველობაშიო.

აი, წლეულს კი ისეთი კროსვორდი შემოგვთავაზეს ქალაქის მამებმა, ოიდიპოსი უნდა იყოს, მიხვდე, რას გვეკითხება ამოცანა.

ამოცანა კი გვეკითხება, იდეაში რა შესაძლო მცენარეს შეიძლება წარმოადგენდეს ის მწვანე კონუსი, რომელიც პარლამენტის წინ არის ზეცაში შუბივით გარჭობილი?

პირველი პასუხი ეს არის: მოჰიკანების სტილიზებული ვიგვამია, ეს-ეს არის აიწევა კარვის კალთა და გიგი უგულავა ან კოზა სუხელიანი გამოყოფენ თავებსო.



ოლოლო შენ, ვერ გამოიცანი.

ეს ისევ და ისევ ლითონკონსტრუქციის მრავალჯერადად გამოსაყენებელი სასწაული თურმე ჩინური ნაძვის ხე ყოფილა. აქ განსაზღვრება „ჩინური“ ოდენ პირობითია, თორემ ასეთი აგებულების ნაძვი არც ჩინეთში ხარობს და არც ბურკინა ფასოში. უბრალოდ, იგი ჩინეთში შეუძენიათ ჩვენს მაძიებელ ჩინოვნიკებს და კაი 140 ათასი ლარიც გადაუხდიათ (ოღონდ, არ ვიცი, ეს 140 ათასი მარტო „ცოცხალი“ ღირებულებაა თუ ჩამოტანიანად დაჯდა ამდენიძ.

ისე, ყველაფერი არ უნდა დაუკარგო მის ავტორ-შემრჩევ-ჩამომტანს: ძალიან რომ დაუკვირდე, შეიძლება ეს რებუსი კვიპაროსს მიამსგავსო... ალბათ იფიქრეს, ნაძვის ბიძაშვილია, ისიც მარადმწვანეა და ნაძვად შეპარება დიდი ცოდვა არ იქნებაო.

ჰოდა, ახლა ვეკითხები ამ „კვიპაროსის“ თბილისში ჩამომთესლებელს: რა, აქ, ადგილზე ვერ გააკეთებდნენ ამ სიმახინჯეს? საავიაციო ქარხანა „მიგებს“ და „სუებს“ ქმნის და ეს ამოყირავებული მწვანე სტაფილო რა გაუხდებოდათ? ათჯერ უფრო იაფიც დაუჯდებოდათ და ნაძვს ნაძვად მოვიხალისებდით.

ან, ბოლოს და ბოლოს, მოეჭრათ სადმე ერთი ხე!.. მოსკოვისთვის თუ 35-მეტრიანი ნაძვი ჩაიტანეს ტრაილერით, ძალიან დაშავდა რამე? ბორჯომში იმდენი ხეტყე იჭრება ყოველდღიურად უკანონოდ და ქურდულად, ერთი საბუთიანი ქვეყანას მართლა არ დააქცევდა!

მაგრამ ჩვენ ხომ ყველასგან გამორჩეულნი, ყველაფერში ყველაზე პირველები ვართ, 60 ინდაურის საცივის და ერთი მოედნისხელა გოზინაყისა არ იყოს, ჩვენი ქალაქისთავები რომ გვპირდებიან!

გაისად თუ 20-მეტრიანი ჩურჩხელა არ ამოავლეს უგულავამ და სუხელიანმა საახალწლოდ, თავი მომჭერით.

ისე, რამდენი წელია, საცივი არ გიჭამია, სევასტი ბიძია?

**სანდრო ალექსიძე**

◎ ინფორმაცია

### გაზის გაჟონვის კერა აღმოაჩინეს

**„შაჰ-დენიზის“ საბადოს პირველ ჭაბურღილზე, საიდანაც გაზის მოპოვება ტექნიკური მიზეზით შეწყდა, 800-900 მეტრის სიღრმეზე გაზის გაჟონვის კერა აღმოაჩინეს.**

**ამის შესახებ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა ხოშბახტ იუსიფზადემ განაცხადა.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

### მოლაპარაკებები ქართულ მხარესთან არ განახლდება

**გალის რაიონში მომხდარ აფეთქებებს აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ქართულ სპეცსამსახურებს აბრალებს. შამბას მტკიცებით, დაკითხულია ინციდენტის დროს გადარჩენილი მილიციელი, რომელმაც განაცხადა, რომ ოთარ ტურნანბა და მისი გარემოცვა ენგურის ხიდზე ქართულ მხარესთან მოსალაპარაკებლად ტელეფონით მიიწვიეს. იქ კი, რამდენიმე წუთში აფეთქება მოხდა.**

**შამბა მომხდარში საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებს და აცხადებს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებები ქართულ მხარესთან არ განახლდება.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ კომენტარი



# მამუკა არეშიძე: „ჩეჩნეთის ხელისუფლება რუსულ თამაშს თამაშობს“...

## სად არის ზვიად გამსახურდიას საფლავი?

**ჩეჩნეთის ხელისუფლება ოფიციალურად აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას ცხედარი უკვე გადასვენებულია ჩეჩნეთის ტერიტორიიდან. თითქოს, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხედარი მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ წაასვენა.**

ექსპერტ მამუკა არეშიძის აზრით, ძალზე რთულია ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება: — ქართველ ჟურნალისტთა ის ჯგუფი, ვისაც სჯერა ზვიად გამსახურდიას გადმოსვენება, ამას ადასტურებს საგანგებოდ შექმნილი კომისიის სიჩუმით და იმით, რომ თავად გამსახურდიას ოჯახის მოთხოვნებიც ისეთი აქტიური აღარ არის.

მეორე — ჩეჩნეთის ხელისუფლება აცხადებს, ჩვენ ნება მივეცით და ცხედარი გადაასვენესო. ოჯახის სიჩუმის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ჩეჩნეთის ხელისუფლების თამაში ჩემთვის გასაგებია.

მამუკა არეშიძის აზრით, ჩეჩნეთის დღევანდელი ხელისუფლებისთვის ზვიად გამსახურდიას საფლავი, ჯოხარ დუდაევის საფლავის მსგავსად, უარყოფითი სიმბოლოა. ესენი არიან პიროვნებები, რომელთა სახელიც ჩეჩნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოები — დროშები იყვნენ. ამის გამო ზვიად გამსახურდიას საფლავის ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტი კადიროვის ხელისუფლებისთვის ნამდვილად არ არის სასიამოვნო.

„ქართველ ჟურნალისტებს არ გაუმახვილებიათ ყურადღება, თორემ ჩეჩნეთის ხელისუფლება იგივეს იმეორებს დუდაევზეც. ამბობენ, დუდაევის გვამიც მისმა მეუღლემ კარგა ხანია, ჩეჩნეთიდან გადაასვენაო, ანუ ხაზს უსვამენ, რომ იგი აღარ არის იმ ტერიტორიაზე.

ეს პოლიტიკის ნაწილია, რათა ჩეჩენი ხალხი დააზნიონ: 90-იანი წლების სიმბოლოები, მათ სულიერ საზრდოს რომ აძლევდა, უკვე აღარ არის სიმბოლოები. წარმოიდგინეთ, მუჰამედის საფლავი რუსეთსა და ამერიკაში გადაასვენონ, რა მოხდება?“

მამუკა არეშიძე არ გამორიცხავს ამ საქმეში რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობას: „არ არის გამორიცხული, ეს იყოს რუსეთის უმაღლეს ინსტანციებში შემუშავებული შავი პიარ-კამპანიის ნაწილი, რომლის რეალიზაციაც ჩეჩნეთის ხელისუფლებას დაავალეს. ვერ ვხედავ იმის მოტივაციას, რომ ოჯახს ან კომისიის წევრებს ეს ამბავი დაემალათ...“

კავკასიის საკითხებში ექსპერტი ფიქრობს, რომ ზვიად გამსახურდიას საფლავი ისევ ჩეჩნეთშია, მისი ბოლო მესამე გადასვენების ადგილას: — „თავიდან ამ საქმეს განაგებდა ჯოხარ დუდაევის დაცვის უფროსი. მერე ვის დაევალა იგი, ამაზე ფართოდ არ მსჯელობენ. ამიტომ კონკრეტულ გვარებს ვერ დავასახელებ. მაგრამ ვფიქრობ, ზვიად გამსახურდიას ცხედარი ჩეჩნეთის ტერიტორიაზეა, თუმცა, არ გამოვრიცხავ მის მეოთხე გადასვენებასაც, მაგრამ ამის გაუხმაურებლად გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა, ანუ ყველა შემთხვევაში მაინც გაჟონავდა“.

მამუკა არეშიძე ფიქრობს, რომ ჩეჩნეთის მთავრობა რაღაც თამაშს თამაშობს: „ამაში მარწმუნებს მათი იგივე ვერსია ჯოხარ დუდაევის საფლავის გამოც...“



ამ ეტაპზე უნდა შეიქმნას ერთიანი კომისია. მოინახოს ის ხალხი, ვინც თავდაპირველად მონაწილეობდა ამ საქმეში, თუნდაც ახმედ ზაკაევი. გაირკვეს ყველა დეტალი. ვფიქრობ, ეს მომავლის საქმეა. მაგრამ ჩეჩნეთის ხელისუფლების დღევანდელი პოზიციის გამო დღეს ეს გართულდება. მაგრამ აუცილებლად უნდა გაკეთდეს, რადგან კომისიას აუცილებლად მიაჩნია ზვიად გამსახურდიას გადმოსვენება“ ... — დაასკვნა ექსპერტმა.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

● ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს დიდი ტრადიციები და ინდივიდუალური პროფილი. უნივერსიტეტმა უნდა შეინარჩუნოს და განამტკიცოს საკუთარი იდენტურობა. უნივერსიტეტის სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეულები უნდა განიხილებოდნენ როგორც უნივერსიტეტის განუყოფელი ნაწილი, ხოლო შიდასაუნივერსიტეტო კომუნიკაცია უნდა გაუმჯობესდეს როგორც სხვადასხვა ფაკულტეტებს, ისე ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციას შორის



◎ არჩევნების წინ

# გია ხუბუა: უნივერსიტეტი უნდა იმართებოდეს როგორც დიდი კორპორაცია, ეგრეთ წოდებული ახალი მენეჯმენტის წესების შესაბამისად

## გაგაცნობთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატს

*რექტორობის კანდიდატობაზე განაცხადების შეტანის ვადა 2 დეკემბერს ამოიწურა. 5 იანვარს კი, ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობის თეთრი ტაძარი, სულიერებისა და განათლების მთავარი კერა ახალ რექტორს აირჩევს. მისი დაარსების დღიდან ქართველი განუყოფლად აღიქვამს ერსა და უნივერსიტეტს, ამიტომ არის, რომ საზოგადოება გაფაციცებით ადევნებს თვალს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს, იმას, თუ რა გზით წავა უნივერსიტეტი, როგორ აქვთ ეს გეზი გააზრებული რექტორობის კანდიდატებს.*

*რექტორობის კანდიდატი ორია: ამჟამინდელი რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი გია ხუბუა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე.*

*ჩვენი გაზეთის 19 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სამოქმედო პროგრამა, ახლა გთავაზობთ პროფესორ გია ხუბუას სამოქმედო გეგმას.*

*შეკითხვით მივმართეთ რექტორობის კანდიდატს:*

**— ბატონო გია, ერთი თვის წინათ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ინტერვიუ თქვენთან. მაშინ რექტორობის არჩევნებში მონაწილეობას აპირებდით, მაგრამ ჯერ არც განაცხადი გქონდათ წარდგენილი და შესაბამისად, არც სამოქმედო პროგრამა. ამიტომ ჟურნალისტის შეკითხვაზე თქვენი პასუხებიც შესაბამისად ალბათ სრული არ იყო. რა მიზანს ისახავთ, გვითხარით?**

— უპირველესად იმან, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწყებული ცვლილებები მოითხოვს გაგრძელებას, მოითხოვს სათანადო დროს და შესაბამისად, სურვილი მაქვს, რომ თუ აკადემიური საბჭო მოიწონებს ჩემს მიერ წარმოდგენილ პროგრამას — უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებებს, უკვე როგორც არჩეული რექტორი შევუდგე მის განხორციელებას.

წარმოგიდგენთ ამ პროგრამის შემცირებულ ვარიანტს:

### I. სტრატეგიის განხორციელება

უნივერსიტეტში უნდა განისაზღვროს სამეცნიერო კვლევისა და სწავლების ძირითადი მიმართულებები, პრიორიტეტები და პოსტერიორიტეტები. შენარჩუნდება სპეციალობათა ფართო სპექტრი, რომლებიც აკმაყოფილებენ მაღალ სტანდარტებს, ხოლო სასწავლო დისციპლინები გაითვალისწინებენ მეცნიერების სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს.

ამ მიზნით განხორციელდება ინტერდისციპლინური საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; განისაზღვრება ახალი სასწავლო და კვლევითი მიმართულებები; ჩამოყალიბდება ინტერდისციპლინური სამეცნიერო ცენტრები (ინსტიტუტებიძ და სამუშაო ჯგუფები.

### II. სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესება და სრულყოფა

მეცნიერებისა და კვლევის განვითარების უმთავრესი ორიენტირი იქნება ხარისხი, ხოლო სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიზანი გახდება ინოვაციური ცოდნის მიღება.

უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, რეგიონალური წამყვანი სამეცნიერო ცენტრის ფუნქცია და განათლების ექსპორტისაკენ მიმართული ექსპანსიონისტური პოლიტიკის ამბიცია.

სამეცნიერო კვლევების ხარისხზე კონტროლი მოხდება პერიოდული შიდა და გარე შეფასების, ასევე მეცნიერთა თვითშეფასების სხვადასხვა ფორმების გამოყენებით. ამ მიზნით, ჩამოყალიბდება სამეცნიერო კვლევების შიდასაუნივერსიტეტო ფონდი, მოეწყობა ინტერდისციპლინური სემინარები, შეხვედრები; აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსი გამოცხადდება უახლესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით; შემუშავდება სამეცნიერო კვლევების საუნივერსიტეტო შეფასების სისტემა; აკადემიური თანამდებობის დაკავებისას გათვალისწინებული იქნება დამატებითი სახსრების მოზიდვის პერსპექტივა. უნივერსიტეტი შეინარჩუნებს სამეცნიერო კვლევების ინდივიდუალურ პროფილს, განამტკიცებს კავშირს მეცნიერებასა და ბიზნესს შორის, განავითარებს საპატენტო სისტემას, გაააქტიურებს თანამშრომლობას არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებთან, ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევებში სტუდენტების მონაწილეობას.

### III. სასწავლო პროცესისა და სასწავლო პირობების სრულყოფა

სასწავლო პროცესი უნდა განვიხილოთ, როგორც სტუდენტების მომსახურების ერთ-ერთი ფორმა. შესაბამისად, გაიზრდება აკადემიური პერსონალის პასუხისმგებლობა სწავლების ხარისხზე. უნივერსიტეტის კურსდამთავრებული უნდა იყოს კონკურენტუნარიანი კადრი შრომის თავისუფალ ბაზარზე.

უნივერსიტეტში შემუშავდება სასწავლო პროგრამების, სწავლების მეთოდიკისა და შეფასების თანამედროვე მოდელები, რომელიც დაეფუძნება სამეცნიერო კვლევათა უახლოეს შედეგებს; გაძლიერდება მოდულები; დაინერგება შეფასებათა სხვადასხვა (გარეშე) სისტემები (ECTS, Diploma supplement სხვ.); განისაზღვრება ფაკულტეტების მიხედვით სწავლების ხარისხობრივი სტანდარტები; განვითარდება უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა და ამ მიმართულებით მომზადდება აკადემიური პერსონალი; განისაზღვრება აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო პირობები; ჩამოყალიბდება სასწავლო კურსების შესახებ საკონსულტაციო სამსახური; ჩატარდება სტუდენტთა პერიოდული გამოკითხვა ყველა სავალდებულო საგანზე; შემუშავდება ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობის სპეციალური პროგრამა; პირველი სემესტრის სტუდენტებისათვის შემოღებული იქნება სპეციალური შესავალი კურსები; შემუშავდება ორგანიზაციული ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის აქტიურ დიალოგს სალექციო კურსის მიზნებისა და შინაარსის, ასევე სასწავლო პროგრამების შესახებ. უნივერსიტეტი მაქსიმალურად წაახალისებს სტუდენტების მიერ დამოუკიდებლად ორგანიზებული სასწავლო-სამუშაო ფორმების დანერგვას.

### IV. ინტერნაციონალიზაცია

ინტერნაციონალიზაცია თანაბრად უნდა შეეხოს სამეცნიერო კვლევებს, სწავლებას და უნივერსიტეტის მართვას. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ფორმებად განიხილება პარტნიორობა უცხოეთის უნივერსიტეტებთან, სტუდენტთა მობილობის წახალისება და სხვ.

უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტული იქნება ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელება. სავალდებულო გახდება სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტის მონაწილეობა.

ცალკეული საუნივერსიტეტო კურსებისათვის დადგინდება საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო სემესტრის სავალდებულო მოსმენა; გაძლიერდება ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენის სწავლება სტუდენტების, მასწავლებლისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის; გაიზრდება უცხოელი მასწავლებლებისა და სტუდენტების ხვედრითი წილი.

### V. უწყვეტი განათლება

უწყვეტი განათლება ორიენტირებული უნდა იყოს შრომის თავისუფალი ბაზრის მოთხოვნილებებზე. უწყვეტი განათლების საუნივერსიტეტო ცენტრმა უნდა წაახალისოს ფაკულტეტების აქტიურობა. ამასთანავე, განსხვავებულ მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებული მომსახურება კარგად უნდა იყოს კოორდინირებული და ორგანიზაციულად უზრუნველყოფილი. უწყვეტი განათლებიდან მიღებული შემოსავლები მოხმარდება როგორც სწავლებას, ისე სხვა საუნივერსიტეტო პროგრამების განხორციელებასაც. უწყვეტი განათლების სისტემაში ფართოდ დაინერგება დისტანციური და ელექტრონული სწავლების ფორმები.



*გია ხუბუა დაიბადა 1964 წელს სენაკის რაიონის სოფ. უშაფათში. 1985 წელს წარჩინებით დაამთავრა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, 1990 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა — სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის სპეციალობით. 1991-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად, 1998-1999 წლებში — ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, 1999-2006 წლის აპრილამდე კი — დირექტორად. ამასთან, 2003 წლის ოქტომბრიდან 2004 წლის სექტემბრამდე იყო ლუდვიგ მაქსიმილიანის სახელობის მიუნხენის უნივერსიტეტის სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის ინფორმატიკის მიწვეული პროფესორი (ა. ჰუმბოლდტის სტიპენდიაძ, 2005 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მეთოდების, სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის სოციოლოგიის პროფესორია, 2006 წლის აპრილიდან დღემდე თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელია.*

*იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გია ხუბუას გამოქვეყნებული აქვს 40 სამეცნიერო შრომა, მათ შორის 8 მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო. იგი არის საერთაშორისო სამეცნიერო, გაერთიანებათა — კანონმდებლობის ხელშემწყობი ევროპული საზოგადოების; სამართლის ფილოსოფიის, თეორიისა და სამართლის სოციოლოგიის საერთაშორისო გაერთიანებისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის წევრი.*

*ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.*

### VI. მომსახურების გაუმჯობესება

უნივერსიტეტი უნდა აკმაყოფილებდეს მომსახურების მაღალ სტანდარტებს. ამ მიზნით, გაუმჯობესდება სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება; ჩამოყალიბდება სტუდენტთა მომსახურების ცენტრები. გაუმჯობესდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გარემონტდება აუდიტორიები, მოხდება ფაკულტეტებისათვის აუდიტორიების დამაგრება; აშენდება ახალი ბიბლიოთეკა, განახლდება საბიბლიოთეკო ფონდი.

### VII. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები

უნივერსიტეტში უნდა დაინერგოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები. შეიქმნება ელექტრონული და დისტანციური სწავლების კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს დისტანციური სწავლების პედაგოგიურ მიზნებს და მისი განხორციელების სტანდარტებს. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები დაინერგება სწავლებისა და გამოცდის პროცესში. უცილებელია უნივერსიტეტის თანამშრომელთა მომზადება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში; ბიბლიოთეკების ელექტრონული კატალოგის შექმნა; ინტერნეტ-გამოცემების ხელმისაწვდომობა; ინტერნეტით მომსახურების გაუმჯობესება.

### VIII. უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლება

უნივერსიტეტის იმიჯს, პირველ რიგში, განსაზღვრავს უმაღლესი დონის სამეცნიერო მიღწევები და სწავლების დონე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს დიდი ტრადიციები და ინდივიდუალური პროფილი. უნივერსიტეტმა უნდა შეინარჩუნოს და განამტკიცოს საკუთარი იდენტურობა. უნივერსიტეტის სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეულები უნდა განიხილებოდნენ როგორც უნივერსიტეტის განუყოფელი ნაწილი, ხოლო შიდასაუნივერსიტეტო კომუნიკაცია უნდა გაუმჯობესდეს როგორც სხვადასხვა ფაკულტეტებს, ისე ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციას შორის.

უნდა აღდგეს კავშირი უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შორის; ჩამოყალიბდეს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ასოციაცია.

აუცილებელია აქტიური კონტაქტების დამყარება საზოგადოებასთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან, მედიასთან, კულტურისა და პოლიტიკის სფეროსთან, ბიზნესთან, სკოლებთან, ქალაქ თბილისთან.

### IX. უნივერსიტეტის მართვა

უნივერსიტეტი უნდა იმართებოდეს როგორც დიდი კორპორაცია, ე.წ. ახალი მენეჯმენტის წესების შესაბამისად.

აუცილებელია პასუხისმგებლობის შემდგომი დეცენტრალიზაცია, მათ შორის საბიუჯეტო სისტემის მეშვეობით. ამავე დროს, დეცენტრალიზაცია არ ნიშნავს ანტი-ცენტრალიზმს. საუნივერსიტეტო მართვის იერარქიულ სისტემაში თითოეული რგოლი მაქსიმალურად კონცენტრირებული უნდა იყოს მისთვის მინიჭებული კომპეტენციების განხორციელებაზე. აუცილებელია უმაღლესი სკოლის მენეჯმენტისა და მართვის პროგრამის შემუშავება; ტრეინინგები უნივერსიტეტის ცენტრალური ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის; ადმინისტრაციის სტრუქტურის რეორგანიზაცია. თანამშრომლების პროფესიული კარიერა უნდა იძლეოდეს მისი დაგეგმვის შესაძლებლობას, უნდა განისაზღვროს ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების კონცეფცია, ინდივიდუალური პროფესიული კვალიფიკაციის დადგენისა და მისი შემოწმების კრიტერიუმები.

### X. სოციალური დაცვის ღონისძიებები

უნივერსიტეტის თანამშრომელთა ანაზღაურება უნდა იყოს მათი კვალიფიკაციის ადეკვატური. უნივერსიტეტმა უნდა მოიზიდოს ის ინტელექტუალური ელიტა, რომელიც დღეისათვის გაბნეულია კერძო, სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში. ამ მიზნით, შემუშავდება უნივერსიტეტის თანამშრომელთა სოციალური დაცვის პროგრამა, ჩამოყალიბდება სოციალური სოლიდარობის საუნივერსიტეტო ფონდი.

***— ბატონო გია, თუ ისე მოხდა, რომ ვერ გაიმარჯვეთ?***

*— წინა ინტერვიუშიც ვთქვი, რომ ჩემი მოღვაწეობა უნივერსიტეტში არ წარმოადგენს არჩევნებისთვის მზადებას. მე ვარ უნივერსიტეტის პროფესორი, ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტის პროფესორობაზე უფრო მნიშვნელოვანი პოსტი არაფერია ამქვეყნად. მათ შორის არც რექტორის თანამდებობა აღემატება უნივერსიტეტის პროფესორის მნიშვნელობას თავისი მისიით. თუკი არჩევნებში ვერ გავიმარჯვებ, უნივერსიტეტში გავაგრძელებ მოღვაწეობას როგორც რიგითი პროფესორი.*

**ესაუბრა**

**ბელა დურგლიშვილი**

№ 257. ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 2006 წელი.

# ჯილდო

**გამოვლინდნენ საქართველოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთა“ — 2006-ის ლაურეატები. მე-7 დაჯილდოების ცერემონიალს სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტმა“ უმასპინძლა. ეს ჯილდო წლეულს 14 ადამიანს მიენიჭა, მათ შორის 6 ჟურნალისტია**



დაჯილდოება

# „ოქროს ფრთის“ მეშვიდე ლაურეატები

გამოვლინდნენ საქართველოს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთა“ — 2006-ის ლაურეატები. მე-7 დაჯილდოების ცერემონიალს სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტმა“ უმასპინძლა. ეს ჯილდო წლეულს 14 ადამიანს მიენიჭა, მათ შორის 6 ჟურნალისტია.

გამორჩეული ქველმოქმედებისთვის „ოქროს ფრთა“ გადაეცათ: ცნობილ ბიზნესმენს **ბადრი პატარკაციშვილს,** კომპანია „მოდულის“ გენერალურ დირექტორს **რევაზ ქლენტს,** ზურაბ ჟვანიას ქვრივს — **ნინო ქადაგიძეს,** სს „მადნეულის“ გენერალურ დირექტორს **კობა ნაყოფიას.**

2006 წლის წარმატებულ საზოგადო მოღვაწეებად აღიარეს: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **გიული ალასანია,** კულტურის სამინისტროს ღონისძიებათა დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე **დავით ოქიტაშვილი** და ცნობილი ფეხბურთელი **კახი კალაძე.**

გაოქროსფრთოსანდნენ ჟურნალისტები: **ეკა ხოფერია, თამარ ჩიქოვანი, გიგლა გოგბერია, ალეკო ასლანიშვილი, ელისო ჩაფიძე, ბიძინა ბარათაშვილი.**







სიკვდილის შემდეგ „ოქროს ფრთის“ ლაურეატი გახდა ტელეჟურნალისტი **ხათუნა დონდუა.**

საგანგებოდ ამ დაჯილდოებას ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა პუბლიცისტური გამოცემა უძღვნა. „ოქროს ფრთის“ პრეზიდენტის **ეთერ ჯიშკარიანის** განმარტებით, ეს ჯილდო გადაეცემათ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოირჩევიან და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის აღმშენებლობაში... სანიმუშო მოქალაქეები არიან პროფესიონალიზმით, საქმიანობით, ცხოვრების წესით და იმედსა და შთაგონებას უღვივებენ სხვებს.

**„ელისო ჩაფიძე „რეზონანსის“ კეთილი სულია. ის უკვე ათ წელზე მეტია, საგამოძიებო ჟურნალისტიკის სფეროში მუშაობს. დიდი ხანია, მისი სტატიების გამო ემუქრებიან კიდეც. თავის პატარა ქვეყანაში ის სახელგანთქმულია და მას გერმანიის საელჩოშიც ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. „რეზონანსმა“ ელისოს რედაქტორობის წყალობითაც, აღმოსავლეთ ევროპაში დამოუკიდებელი ჟურნალისტიკისთვის დაწესებული გერდბუცერიუსის პრიზი მიიღო, რის გამოც ამ გაზეთს ყურადღება მეც მივაქციე და გადავწყვიტე, საქართველოში ჩემი ორთვიანი ყოფნისას სწორედ ის ამერჩია ჩემს მასპინძელ შუამავლად“,** — ასე დაახასიათა ელისო ჩაფიძე გერმანელმა ჟურნალისტმა **გრიტ ვაირაუხმა,** რომელიც „რეზონანსში“ გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა.

დარბაზი ოვაციით შეხვდა ეკა ხოფერიას — რადიო „უცნობის“ ტელესტუდიის ხელმძღვანელს და გადაცემა „დიალოგების“ წამყვანს, აგრეთვე, ტელეკომპანია „იმედის“ გენერალურ დირექტორს ბიძინა ბარათაშვილს, იგი წარმატებული ტელევიზიის წარმატებულ მენეჯერად აღიარეს.

საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ ვიცე-პრეზიდენტი, ჟურნალ „ფენომენის“ რედაქტორი გიგლა გოგბერია ქართულ პრესაში სამეცნიერო-პოპულარული თემატიკის ნოვატორული ფორმით წარმოჩენისათვის გამოარჩიეს. მისთვის ჟურნალისტობა პროფესია კი არ არის, არამედ სულის მდგომარეობაა, ანუ განცდაა იმისა, რომ ცოცხალ სიტყვას საკუთარი სიცოცხლის ნაწილი დაუთმოს, — ასე ახასიათებდნენ მას კოლეგები.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორისთვის ალეკო ასლანიშვილისთვის კი არსებითი ის არის, რომ ამ ჯილდოში გაზეთის მთელმა კოლექტივმა შეიტანა წვლილი. **„საქართველოს რესპუბლიკა“ უწინდელისგან სრულიად განსხვავებული გამოცემაა, რომელსაც უკვე საკუთარი გამოკვეთილი გზა აქვს.**

რადიო „თავისუფლების“ და ტელეიმედის ერთობლივი გადაცემის „ჩაი და თავისუფლების“ წამყვანმა და ავტორმა თამარ ჩიქოვანმა დაჯილდოების შემდეგ მადლობა გადაუხადა მიხეილ გორბაჩოვს: **„რომ არა პერესტროიკა და გლასნოსტი, მე დღეს ჟურნალისტიკაში არ ვიმოღვაწეებდიო“.**

იმ დღეს კიდევ ერთი ჯილდოს მფლობელის ვინაობა დასახელდა: ზაზა დარასელის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტმა რუსუდან კერვალიშვილმა ახალგაზრდა ჟურნალისტისთვის დაწესებული პირველი სტიპენდია გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტს **ეკა წივწივაძეს.**

„ოქროს ფრთის“ პრეზიდენტმა ეთერ ჯიშკარიანმა ღონისძიების ჩატარებაში დიდი თანადგომისთვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა ბოლნისის რაიონის გამგებელი **გიორგი არევაძე.**

საერთაშორისო ჟურნალისტური ფონდის პუბლიცისტურ გამოცემასთან ერთად „ოქროს ფრთის“ მესვეურებმა საგანგებო გამოცემებით იუბილე მიულოცეს ყოფილ ნომინანტებს: საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის, „თიბისი ბანკის“ პრეზიდენტს **მამუკა ხაზარაძეს,** ქველმოქმედს **რუსუდან კერვალიშვილს.** იმ დღეს **მამუკა ხაზარაძის** ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი ვიდეოფირიც უჩვენეს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

ჯემალ კასრაძის ფოტო.







№ 257. ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 2006 წელი.

● არაერთხელ აღმინიშნავს, რომ დიდი სახელმწიფოები პატარების მიმართ ძმობას და მეგობრობას არაფრად ჩააგდებენ, თუ მათ პოლიტიკას პატარის გაწირვა ესაჭიროება



№ 257. ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 2006 წელი.

⊙ გუშინდელი ფოსტიდან

# სახალხობანკელმა ვინმე თამუნამ კინაღამ არ ჩამიმწარა ეს ახალი წელიწადი

## ჯირი დანახული ჯობს

სახალხო ბანკი რომ თავის სახელწოდებას ამართლებს, ამის თაობაზე სხვა აზრი, ალბათ, ბევრს არა აქვს. მაგრამ ერთგვარად უსულგულო და სხვათა მიმართ ნაკლებად ყურადღებიანი ადამიანები სახალხო ბანკშიც რომ არიან, ამაში პირადად დავრწმუნდი და სწორედ ამიტომ გწერთ, რათა იქნებ ვიღაცას გაკვეთილად ექცეს ის ამბავი, რაც ამ წინასაახალწლო დღეებში გადამხდა.

სადაც კი მეგულებოდა, ყველგან მოვიძიე, მაგრამ ვერსად ვერ მივაგენი საპენსიო პლასტიკურ ბარათს, ურომლისოდაც პენსიის აღება შეუძლებელია. სასწრაფოდ მივედი ბულაჩაურის ქუჩაზე მდებარე სახალხო ბანკში და განცხადებით მივმართე, პლასტიკური ბარათი დავკარგე და იქნებ დამეხმაროთ და ახალი მომცეთ, რათა ამ საახალწლოდ წვიმა და დაგვით დაგროვილი ორი თვის პენსია ერთად ავიღო-მეთქი. განცხადება მაშინვე დამაწერინეს და ათ დღეში მზად იქნებაო, მითხრეს.

მაგრამ შინ მივედი თუ არა (იქვე ვცხოვრობ, ბანკთან ახლოსძ, ბედად საწერ მაგიდაზე მივაგენი თვალს მიფარებულ პლასტიკურ ბარათს და მაშინვე დავრეკე სახალხო ბანკში (ტ.37-51-20ძ. სულ ათი-თხუთმეტი წუთი არ იყო გასული.

ტელეფონი ვინმე თამუნამ აიღო. პლასტიკური ბარათი ვიპოვე-მეთქი, ჩემი სიხარული გავუზიარე და ვთხოვე, ახლის დამზადებაზე რომ აღარ იწვალოთ, ჩემი განცხადება გააუქმეთ-მეთქი. თამუნამ ძალიან ზრდილობიანად მიპასუხა. ნუ იღელვებთ, ახლავე ყველაფერს მოვაგვარებ და ისევ თქვენი ძველი პლასტიკური ბარათი გამოიყენეთო.

22 დეკემბერს ჩემი ძველი პლასტიკური ბარათით ფილარმონიის ქვეშ მდებარე სახალხო ბანკს მივადექი, მ.კოსტავას ქუჩაზე. ბანკის თანამშრომელმა გოგონამ ისევ ზრდილობიანად ბევრი იწვალა, საჭირო ხელსაწყოს არა ერთხელ და ორჯერ გაუსვა და გამოუსვა ჩემი ბარათი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, დაბლოკილიაო, მითხრა. სადაც ბარათის დაკარგვის თაობაზე განცხადება დაწერეთ, ისევ იქ გაარკვიეთო.

მეც ისევ ბულაჩაურის ქუჩაზე მდებარე ბანკში დავრეკე. ბანკის თანამშრომელმა გოგონამ ისევ ზრდილობიანად სწრაფად გამირკვია საქმე და მითხრა, ხვალ დოლიძის 9 ნომერში მდებარე სახალხო ბანკს მიაკითხეთო და თქვენს ახალ პლასტიკურ ბარათს იქ გადმოგცემენო. არადა რაღად უნდა დამჭირვებოდა ახალი ბარათი, როცა მაშინვე შევატყობინე ვინმე თამუნას, ბარათი ვიპოვე-მეთქი, და ისიც თავაზიანად შემპირდა, ნუ იღელვებთ, ახლავე თქვენს განცხადებას გავაუქმებთო.

23 დეკემბერს დილითვე მივადექი დოლიძის 9 ნომერს. იქ არავითარი სახალხო ბანკი არ აღმოჩნდა, და ისევ ბულაჩაურის ქუჩაზე დავრეკე. ტელეფონი ამჯერად სწორედ ჩემს ამ წვალებაში უშუალო „მონაწილემ“ თამუნამ აიღო. ბუნებრივია, საყვედური ვუთხარი მომხდარისათვის და ვთხოვე, გამირკვიეთ, სად, რომელ ბანკს უნდა მივაკითხო, რადგან აქ არავითარი სახალხო ბანკი არ არის-მეთქი. რადგან მობილურიდან ვრეკავდი, ჩემი ნომერი ჩაიწერა და ათ წუთში დამირეკა, თქვენ სადა ხართ ახლაო. არა, ბატონო, დოლიძის ქუჩაზე რა გინდათ, ისანში უნდა მიხვიდეთ, იქ რომ სახალხო ბანკია, თქვენი ახალი პლასტიკური ბარათი იქ არისო. სხვა რა გზა მქონდა. დავადე თავი და წავედი ისანში.

პასუხი, რომელიც ისანში მდებარე სახალხო ბანკში დამახვედრეს:

— არა, არა, თქვენი ბარათი ნამდვილად დოლიძის ქუჩაზეა, საბურთალოზე, ოღონდ 9 ნომერში კი არა, მე-9 კორპუსშიო.

რა უნდა მექნა, ისევ დავადე თავი და ისევ დოლიძის ქუჩაზე აღმოვჩნდი.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მოვიგდე ხელთ ჩემი საცოდავი ორი თვის პენსია, რომელსაც ახალი პლასტიკური ბარათის დამზადების საფასურად ერთი ლარი ჰქონდა ჩამოკლებული.

რაც ისანში გასვლას და გამოსვლას მოვანდომე, გზის ხარჯისა თუ დროის დაკარგვის თვალსაზრისით, ეს კიდევ სხვაა. ამდენი სირბილ-სიარულის შემდეგ ერთი პირობა სულელივით ისიც კი ვიფიქრე, სახალხო ბანკის ზოგიერთ მუშაკს პენსიონერ-ვეტერანთა გაჯანსაღება-გამხნევების მიზნით სულაც ასეთი სპეციალური დავალება ხომ არა აქვთ-მეთქი, რადგან, მოგეხსენებათ, სიარული და სირბილი ჯანმრთელობას უწყობს ხელს, ხოლო ჯანმრთელობა თავისთავად ხანგრძლივი სიცოცხლეა.

მაგრამ მაინც დამდეგი ახალი წელი უნდა მივულოცო სახალხობანკელებს, თვითონ ჩემს „მწვალებელ“ თამუნასაც, რომელიც, იმედია, წაიკითხავს ამ ჩემს საყვედურს და სხვა ადამიანების მიმართ, განსაკუთრებით ხანდაზმული ხალხის მიმართ, გულგრილობას თუ გულცივობას, უფრო სწორად, უყურადღებობას ძველ წელს გაატანს და ახალში აღარ გადაიყოლებს, მით უმეტეს, რომ ახალი 2007 წელი თურმე ღორის წელიწადია.

**გუგაზ გოგიაშვილი,**
ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

⊙ გლობუსი

# ვაშინგტონის დამაფიქრებელი

**პრეზიდენტ ბუშის განცხადებამ ერაყსა და ავღანეთში ამერიკის სამხედრო კონტიგენტის სასწრაფო გაზრდის თაობაზე, სერიოზული გაღიზიანება გამოიწვია აშშ-ში. ეს საკითხი ახლადარჩეულ კონგრესში მწვავე დებატების თემად იქცევა. და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ადმინისტრაცია, მიუხედავად კრიტიკისა, ჯიუტად აგრძელებს მილიტარისტულ პოლიტიკას. მართალია ბუშმა აღიარა წარუმატებლობა ერაყსა და ავღანეთში, მაგრამ ისიც დაუმატა, რომ მდგომარეობა გამოსწორდება, თუ ამერიკა დამატებით სამხედრო ძალას წაახმარს ორივე ფრონტს.**

საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ბეიკერის კომისიას, რომელიც მოუწოდებს პრეზიდენტს მომავალი წლიდან დაიწყოს ამერიკელი სამხედროების ერაყიდან გამოყვანის პროცესი. ბუშის განწყობა სხვანაირია. ის იმ რეაქციული ძალებისაკენ იხრება, რომლებიც ომის ესკალაციისაკენ მოუწოდებენ ადმინისტრაციას. მათ შორის გამოირჩევა ვიეტნამის ომის ვეტერანი და აშშ პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატი, სენატორი მაკკეინი. როგორც ჩანს, ვიეტნამის ომს მისთვის უკვალოდ ჩაუვლია. ექსპერტები ერაყის ომს უკვე ადარებენ ვიეტნამისას.

ამერიკელთა გამოისობით დაძაბულობაა ახლო აღმოსავლეთშიც. იორდანიის მეფის აბდალა II-ის განცხადებით აქ სამმა ხანგრძლივმა სამოქალაქო ომმა შეიძლება იფეთქოს.

დასავლეთის პოლიტიკას უნდა „უმადლოდეს“ პალესტინის ავტონომია, სადაც მთელი წლის განმავლობაში საბრძოლო რიტორიკა და განწყობა ვერ გადაიზარდა კონსტრუქციულ დიალოგში. წლის დასაწყისში, საყოველთაო არჩევნებში „ჰამასის“ გამარჯვებამ ის ძალა მიიყვანა ხელისუფლებაში, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი ანტიამერიკულ-ისრაელური განწყობა აქვს. „ჰამასი“ სულაც არ აპირებს ისრაელისადმი კუდის ქიცინს, პირიქით სწორედ ამაში ადანაშაულებს ის დამარცხებულ „ფათეჰს“. აშშ-მა და ევროკავშირმა, რომლებმაც დასაწყისიდანვე ნეგატიური განწყობა გამოავლინეს „ჰამასის“ მიმართ, პალესტინის ადმინისტრაციას ყოველგვარი დაფინანსება შეუწყვიტეს. უფულობამ, ეკონომიური პირობების გაუარესებამ, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა ავტონომიის ორი ძალა „ჰამასი“ და „ფათჰი“. ავტონომიის პრეზიდენტს აბუ მაზანსა და პრემიერ-მინისტრ ჰანიას შორის, მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, არაერთი შეთანხმებისა, სისხლიანი შეტაკებები გრძელდება.



არაერთხელ აღმინიშნავს, რომ დიდი სახელმწიფოები პატარების მიმართ ძმობას და მეგობრობას არაფრად ჩააგდებენ, თუ მათ პოლიტიკას პატარის გაწირვა ესაჭიროება. ამის კარგი მაგალითია ზაფხულის განმავლობაში ისრაელის მიერ ამერიკელთა აქტიური მხარდაჭერით, ლიბანში წამოწყებული ომი. ამერიკის მიერ შორსგამიზნულ ავანტიურას, რასაც ლიბანის ომში სირია-ირანის ჩათრევა უნდა მოჰყოლოდა, ხოლო შემდეგ კი ირანის დასჯა ამერიკელთა მხრიდან, პატარა ლიბანი გადაჰყვა. გარდა იმისა, რომ ომმა ნახევარი ლიბანი გაანადგურა. ნოყიერი ნიადაგი შექმნა სამოქალაქო დაპირისპირებისთვის. უკვე კარგა ხანია ბეირუთში მრავალათასიანი ანტისახელისუფლო მიტინგები მიმდინარეობს, რომელშიც აქტიურადაა ჩართული „ჰესბოლა“. სწორედ მის წინააღმდეგ იყო წამოწყებული ზაფხულის ომი. „ჰესბოლა“ დღეს უკეთესად გრძნობს თავს. ომმა მას დიდი წარმატება და პოპულარობა მოუტანა, ლიბანს კი — ნგრევა. მრავალი წელი და მილიარდობით დოლარი დასჭირდება ლიბანს, აღდგენისათვის. თუ ერთი წუთით თავს წარმოვიდგენთ პალესტინელის ან ლიბანელის ადგილზე, არ გაგვიჭირდება იმ ნეგატიური განწყობის გაგება, რაც მათ აქვთ ამერიკა-ისრაელის მიმართ. მათთვის ამ ორი ქვეყნის მოქმედება ისევე მიუღებელია, როგორც ჩვენთვის რუსეთისა, თუ დემოკრატიასა და კეთილშობილურ მიზნებზე ვისაუბრებთ, რაც დიდი პოლიტიკისთვის მხოლოდ ლოზუნგებია, მაშინ პალესტინის ავტონომიისათვის ფინანსური ინექციის შეწყვეტა უფრო არაჰუმანურია, ვიდრე რუსეთის მიერ საქართველოსთვის გაზის ფასების გაზრდა, ხოლო რაც შეეხება ლიბანის ტყუილუბრალო გაწირვას, ამერიკელთა ფონზე, რუსეთი უმწიკვლო კრავივით მოსჩანს.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოუგვარებლობა ირანის ხელოვნური გარიყვითაც არის განპირობებული. ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ირანის ჩარევა არა მარტო რელიგიური თვალსაზრისით არის განსახილველი, არამედ რეგიონის ლიდერობის სურვილითაც, ირანის ისლამური რესპუბლიკა განვითარებული ეკონომიკით და სამხედრო პოტენციალით, ფანატიკურად მტკიცე სახელმწიფოებრივი რწმენით, განათლებისა და მეცნიერების განვითარებით, რაც საფუძველია ბირთვული პროგრამის წარმატებული განხორციელებისთვის აშკარად ანგარიშგასაწევია, შიიტური ირანი მკვეთრი ანტიამერიკულ-სიონისტური განცხადებებით დიდ სიმპათიებს იმსახურებს მუსლიმანურ სამყაროში და ლიდერობისთვის უფრო მეტ ქულებს მატებს მას, ვიდრე პროამერიკულ სუნიტურ საუდის არაბეთს, რომელიც ასევე აცხადებს პრეტენზიას მუსლიმანთა მსოფლიო ლიდერობაზე.

ირანი, რომელიც, როგორც ფინანსურად, ისე იდეოლოგიურად მჭიდროდ არის დაკავშირებული „ჰესბოლასთან“, „ჰამასთან“ და ერაყში მოქმედ მთელ რიგ ძალებთან, ანგარიშგასაწევი მხარეა, განსაკუთრებით ერაყის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის. ირანის პრეზიდენტი, ამერიკელთა მისამართით გაგზავნილ წერილში, დაბეჯითებით ითხოვს შუამავლობას. ვაშინგტონისათვის ირანის წინადადება მიუღებელია, ვინაიდან ამ ეტაპზე ის მზად არ არის ერაყიდან ჯარების გამოყვანისათვის, რასაც ითხოვს აჰმადინეჯადი.

ირან-სირიისადმი პრაგმატული მიდგომისაკენ მოუწოდებს ბუშს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ბეიკერი და მისი კომისია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ადმინისტრაცია აგრძელებს ანტიირანულ მოქმედებას. ბუშის ადმინისტრაციის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად, გაეროს უშიშროების საბჭომ, მიიღო ირანის მიმართ სანქციები. დოკუმენტის სიმკაცრე რუსეთ-ჩინეთის წყალობით მინიმუმამდეა დაყვანილი, მაგრამ სანქციები მაინც შემზღუდველია და ირანში სამართლიან გაღიზიანებას იწვევს. ირანის პრეზიდენტმა სანქციების საპასუხოდ განაცხადა, რომ გააგრძელებს ბირთვულ პროგრამას. ბუშის ადმინისტრაციის მოუქნელმა დიპლომატიამ მოსალოდნელია ირანის მიერ ურანის გამდიდრების პროცესის დაჩქარება გამოიწვიოს.

ირანთან აშშ-ის მწვავე დაპირისპირება თავისთავად უარყოფითად მოქმედებს დიდ პოლიტიკაში აშკარად უაზროდ გაჩხერილ ისეთ ჩამოუყალიბებელ და სუსტ ქვეყანაზე, როგორიც საქართველოა. საქართველოს ხელისუფლების მეცადინეობა გაზის მიღების წყაროთა დივერსიფიკაციისათვის, თოვლის ფიფქივით დადნა. ჩვენი ხელისუფლების განმარტებით, მრავალმხრივ წყაროებში ირანი, თურქეთი და აზერბაიჯანი მოიაზრებოდა. რუსეთის გაზზე, პოლიტიკური ბუტიაობიდან გამომდინარე, ლაპარაკიც ზედმეტი იყო. პარლამენტის თავმჯდომარემ ისიც კი თქვა — „230 დოლარს გადავიხდით, მაგრამ არა რუსულ გაზშიო“. CNN-ისთვის მიცემულ

• საქართველოს პრეზიდენტის მტკიცებას, რომ ნატოში გაწევრიანება არ იქნება რუსეთის საწინააღმდეგოდ გამოყენებული, მოსკოვის მხრიდან გულუბრყვილობად აღიქმება



◎ ბედი მდევარი

# ამბავი ერთი ქალიშვილისა

## ტელეფონის ზარი 23 წლის შემდეგ

*ერთი ჩვეულებრივი სამუშაო დღეც მიილია და სახლში წავედი. საღამო ხანი იყო, უცებ ტელეფონის ზარი გაისმა. დედაჩემმა მითხრა, გკითხულობენო. ყურმილში ვიღაც ქალის ხმა შემომესმა — როგორც იქნა გიპოვეთ, თქვენი დიდად მადლობელი ვარ... თქვენი წერილი დამეხმარა ცხოვრების ძნელი გზის გაკვლევაში...*

*ქალი, შევატყვე, ცრემლს ვერ იკავებდა, თან მაქებდა და მადლობას მეუბნებოდა. გაოცებულმა ძლივს ამოვღერღე — ვინ ბრძანდებით, ასეთი რა სიკეთე მაქვს თქვენთვის გაკეთებული, ასე რად მამკობთ-მეთქი.*

*— ირმა ვარ, ქალბატონო ლალი, თუ გახსოვთ, 23 წლის წინათ შეგხვდით. მივლინებით იყავით დუშეთში... ჩემი ბედკრული ცხოვრება გადმოგიშალეთ, მოგენდეთ და არც შევცდარვარ. თქვენმა სტატიამ დიდი სტიმული მომცა... დანარჩენს როცა გნახავთ მერე გიამბობთ...*

*უცებ აღვიქვი, ვინც მირეკავდა, ჩემს თვალწინ ამოტივტივდა ლამაზი, თვალებბრიალა ახალგაზრდა გოგონა ირმა გარაყანიძე, რომელსაც დიდი ხნის წინათ შევხვდი. შეხვედრის მიზეზი კი მის მიერ რედაქციისთვის გამოგზავნილი წერილი იყო, რომლიდან ამონარიდსაც ახლა გაგაცნობთ.*

**„ქვირფასო რედაქცია, მამამ მიგვატოვა, დედაც მალევე გათხოვდა, ორი პატარა, მცირეწლოვანი და-ძმა ოთახში გამოკეტილი დაგვტოვა და წავიდა... საღამოს, განუწყვეტელი ტირილის ხმაზე, მეზობელი გამოგვეხმაურა, ფანჯარას კიბე მიაყუდეს და ისე გადმოგვიყვანეს. დედის ამბავის გახმაურების შემდეგ სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო მისთვის დედობის უფლების ჩამორთმევისა და ჩვენი ბავშვთა სახლში გადაგზავნის თაობაზე. მწარედ მომაგონდება ის ავადსახსენებელი დღე, როცა ერთმანეთს ხელჩაკიდებული გაგვაცალკავეს, ერთი იქით ვტიროდით, მეორე—აქეთ. ერთად გვინდოდა, მაგრამ..**

**ასე დაგვაშორეს ალალი და-ძმა ერთმანეთს. რაც გუშინდელი დღესავით დარჩა ჩემს მეხსიერებაში. ულირსმა მშობლებმა დიდი დაღი დაასვეს ჩემს გულს. მე დედის მამიდამ სონიამ დუშეთის სკოლა-ინტერნატში მიმიყვანა 6 წლისა. მას შემდეგ ჩემთვის აღარავის მოუკითხავს ცოცხალი ვიყავი თუ მკვდარი. ასე გადიოდა ჩემი ცხოვრების ბედკრული წლები — სულ დედის მოლოდინში. ზაფხულში ისევ სკოლის დირექტორი ცაცო ახობაძე დატრიალდებოდა და ბანაკში გამგზავნიდა, ახლა 19 წლის ვარ და ვმუშაობ, გული მტკივა ჩემს წარსულზე“.**

სწორედ ეს წერილი გახდა ჩემი მივლინების მიზეზი.

მახსოვს, დუშეთში ჩავედი თუ არა, ხალიჩების ფაბრიკისკენ გავწიე, სადაც ირმა მუშაობდა. სანამ მას შევხვდებოდი, მის ნაცნობ-მეგობრებს გავეცანი.

ირმას ყველანი კარგად ახასიათებდნენ, ამბობდნენ კეთილი გოგოა, საქმიანი, მოიცლის თუ არა, წიგნებისკენ უჭირავს თვალიო. ერთმა მშვენიერმა ქალბატონმა ოლიკო თათარაშვილმა ისიც კი მითხრა, ისე მომეწონა, შვილობა ვთხოვე, მაგრამ უარი მითხრა, უჭირს უდედმამობა, მაგრამ იმდენად მორიდებულია, არ გვაგრძნობინებსო. მაშინ ბევრი ვისაუბრეთ მე და ირმამ, თავისი პირველი სიყვარულის საიდუმლოც გამანდო, რომელიც შემდგომში მისი კიდევ ერთი ტანჯვისა და წუხილის საბაბი გახდა. მაშინ პატარა ოთახში ვსაუბრობდით, სადაც მხოლოდ ერთი რკინის საწოლი და პატარა კარადა იდგა. თურმე, ეს ოთახი მაშინდელი დუშეთის რაიალმასკომის თავმჯდომარეს გიორგი წიკლაურს გამოეყო ახალგაზრდა გამრჯე გოგონასთვის.

წარსულზე საუბარი, ვგონებ, ბევრი გამომივიდა, თუმცა უიმისოდ ძნელია წარმოვიდგინოთ ირმას ცხოვრება. მაშინ სწორედ ირმას ბავშვობასა და ახალგაზრდობაზე დავწერე წერილი, რომელიც გამოქვეყნდა და მას უამრავი გამოხმაურება მოჰყვა, ზოგი მათგანი დაიბეჭდა კიდეც. კეთილი ადამიანები გვწერდნენ, რომ ირმას გულს გაუთბობდნენ და არ მიატოვებდნენ...

მას შემდეგ წლები გავიდა, შემოდგომის ფოთლები გადაეფარა ხსოვნას და თითქოს ჩემი გმირიც მიმავიწყდა, მაგრამ ტელეფონის ერთმა ზარმა ყველაფერი თავიდან გამახსენა. ამ დღეებში ირმა გარაყანიძე მეზობელთან ერთად რედაქციაში მესტუმრა, ამაღელვებელი იყო ჩვენი შეხვედრა, სევდიანიც და სასიხარულოც.

— როგორ წარიმართა შენი შემდგომი ცხოვრება? — ვეკითხები ამ ქერათმიან, სანდომიან ქალბატონს...

გაზეთში სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, — მეუბნება ირმა, — ფოსტალიონი ჩემთვის გამოგზავნილი წერილების მოტანას ვერ აუდიოდა... უცხო ადამიანებმა ბევრი სითბო მაჩუქეს... ამანათებსაც მიგზავნიდნენ, ამის დავიწყება არ შემიძლია... ყველაზე მეტად გასაოცარი ის იყო, რომ სხვადასხვა რეგიონებიდან ვაჟები ცოლობას მთხოვდნენ, ზოგიერთმა დუშეთში ჩამომაკითხა და ხალიჩების კომბინატის დირექტორს ოფიციალურად სთხოვა ჩემი ხელი, მაგრამ თქვენ ხომ იცით რომ ჩემი გული სხვას ეკუთვნოდა, სხვა მიყვარდა გულწრფელი სიყვარულით, თუმცა მისმა ოჯახმა არ ინდომა ჩემი, უდედმამო გოგონას რძლობა, ექვსი თვის ბავშვის მარტო პატრონობა სათანადოდ ვერ შევძელი, გამიჭირდა გამოუცდელიც ვიყავი და იგი ანთებით დამეღუპა.

იხ. 9 გვ.



◎ გლობუსი

# პოლიტიკა



ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა სამი, ადრე დასახელებული წყაროდან, მხოლოდ ორი ახსენა, რაც გულმავიწყობით არ იყო გამოწვეული. მართალი გამოდგა საქართველოში აშშ ელჩი, რომელმაც საქართველოს არ მოუწონა ირანთან გრძელვადიანი ენერგეტიკული თანამშრომლობა. მკითხველს ემახსოვრება პრემიერ-მინისტრის გაღიზიანებული პასუხი ჟურნალისტების კითხვაზე — მაგას ვინ ჰკითხავს, სახელმწიფო დეპარტამენტში სხვანაირად თქვესო. ის, რომ ნოლაიდელი ქართული საზომით ზომავს დიპლომატიას და კერძოდ ელჩობის ინსტიტუტს, გასაკვირი არ არის. ვინაიდან ქართული თინეიჯერული „დიპლომატიიდან“ გამომდინარე, რომელიც „თამაშს თამაშზე“ აგებს, მეტი არც არის მოსალოდნელი, მაგრამ საზღვარგარეთის ქვეყნების საქართველოში აკრედიტებული ელჩების შეფასება და პარალელების გავლება მათ ქართველ კოლეგებთან სიცილს თუ არა, მწარე ღიმილის მომგვრელი მაინც არის. პრემიერისათვის ამ სავალალო ისტორიიდან, ამერიკის ელჩი გამოდგა მართალი. თუ ეს ასე არ არის, რატომ არ ვყიდულობთ გაზს ირანიდან? ელჩს, კვერი სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა დაუკრა. მაკორმაკმა დიპლომატიურად მიგვანიშნა, ვისგან უნდა ეყიდა გაზი საქართველოს. ამიტომაც „გამორჩა“ სააკაშვილს ირანი ინტერვიუს დროს. იმთავითვე ცნობილი იყო, რომ აზერბაიჯანი და თურქეთი, რომლებიც გაზით მომარაგებას შეგვპირდნენ, ამ მხრივ არც თუ სტაბილურად გამოიყურებოდნენ. წლეულს აზერბაიჯანმა 4.01 მილიარდი კუბური მეტრი გაზი შეიძინა რუსეთისგან. მარტო ნოემბერში გაზის იმპორტის მოცულობამ 364.4 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა. 2007 წელსაც იგივე მოცულობის გაზის შეძენას აპირებს აზერბაიჯანი რუსეთში.

თურქეთიც გარკვეულწილად რუსულ გაზზეა დამოკიდებული. „ცისფერი ნაკადი“ რომელიც რუსეთის გაზს თურქეთთან აკავშირებს, ყოველდღიურად 30 მილიონ კუბზეა გათვლილი. აქედან გამომდინარე, მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ, როდესაც საკუთარი თავისთვის არ გყოფნის, სხვისთვის თავს ვერ გამოიდებ.

აზერბაიჯანის ბალანსირებული პოლიტიკა სწორედ რომ პოლიტიკაა და არა ემოციური ისტერია, ამას კარგად ხედავს პოლიტიკაში ჩახედული ადამიანი. საქართველოს ხელისუფლების გაუთავებელი, ხმაურიანი როკვა ნატოსაკენ რითიც დასრულდა, კარგად არის ცნობილი. საქართველომ, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ შეასრულა ნატოს ინდივიდუალური პროგრამა. 18 პუნქტი დარჩა შეუსრულებელი. შესრულებას დრო სჭირდება, ისე, როგორც მთლიანობაში ქვეყნის ნატოს სტანდარტებთან მიახლოებას.

სხვა სურათია აზერბაიჯანში, სადაც გეიდარ ალიევიდან დაწყებული ბალანსირებული, პრაგმატული პოლიტიკა ხორციელდება ყველასთან და, მათ შორის, რუსეთთან მიმართებაში. მთიანი ყარაბახიდან გამომდინარე, აზერბაიჯანს, არანაკლები პრეტენზიები აქვს რუსეთთან, ვიდრე საქართველოს, მაგრამ საკამათო საკითხებს ყოველგვარი წივილ-კივილის გარეშე აგვარებს. აზერბაიჯანს გაბალინის რადიოლოკაციური რუსული სამხედრო სადგურის საწინააღმდეგო ისტერია არ მოუწყვია. რუსეთთან კარგი დამოკიდებულების შენარჩუნებასთან ერთად, ბაქო აგრძელებს ნატოსთან აქტიურ თანამშრომლობას. ცხადია რუსეთს გულზე არ ეხატება ასეთი რამ, მაგრამ ცდილობს შეინარჩუნოს კორექტულობა. ბაქო, სისტემატურად გამოთქვამს მზადყოფნას რუსეთთან ეკონომიკური ან სხვა სახის კავშირების გაფართოებისათვის. ამის მაგალითია აზერბაიჯანში რუსული ბიზნესის განვითარება.

საქართველოს პრეზიდენტის მტკიცებას, რომ ნატოში გაწევრიანება არ იქნება რუსეთის საწინააღმდეგოდ გამოყენებული, მოსკოვის მხრიდან გულუბრყვილობად აღიქმება. მათდა სამწუხაროდ, აშშ-ის და ნატოს პოლიტიკა სახეზეა. საბჭოთა კავშირის დაშლის პირველ წლებში, დასავლეთსა და რუსეთს შორის მიღწეული გარიგება, დასავლეთმა დაარღვია. ნატო სწრაფი ტემპით გაფართოვდა აღმოსავლეთით. ეს პროცესი არც მომავალში შეჩერდება. ნატოში საქართველოს სავარაუდო გაწევრიანებას აშშ-ი კონტროლის გაზრდა მოჰყვება, არა მარტო რუსეთის სამხრეთსა და კავკასიაში, არამედ კავკასიის სამხრეთით, ირანზე და აღმოსავლეთით, შუა აზიის ქვეყნებზე. თურქმენეთის ბელადის ნიაზოვის უეცარმა გარდაცვალებამ ამერიკელთა ხარბი სურვილების შესრულებას სერიოზული შესაძლებლობა გაუჩინა. ჩაკეტილი და გაზით მდიდარი თურქმენეთი მალე დიდი სახელმწიფოების კიდევ ერთი დაპირისპირების კერად იქცევა. ექსპერტთა აზრით, ფერადი რევოლუციის მსგავსი მოვლენა დღევანდელ თურქმენეთში გამორიცხულია, მაგრამ ის რომ აშშ უყურადღებოდ არ დატოვებს თურქმენეთს, ესეც უეჭველია. რუსეთის გარდა თურქმენეთში დიდი ინტერესი აქვს ჩინეთსაც, რომელიც წლების განმავლობაში ინარჩუნებდა ნიაზოვთან მჭიდრო, მეგობრულ თანამშრომლობას. ჩინეთი, რომელიც მისგან შორეულ აფრიკაში დიდი გავლენით მოქმედებს, მეზობელ თურქმენეთს სათავისოდ მიიჩნევს. სტატისტიკის მიხედვით საქონელბრუნვამ ჩინეთსა და აფრიკის ქვეყნებს შორის 50 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ჩინეთის ხელშეწყობით აფრიკაში 720 კომპლექსური პროექტი განხორციელდა სოფლის მეურნეობის, თევზჭერის, მესაქონლეობის, ენერგეტიკის, მრეწველობის, ტრანსპორტის დარგებში. შარშან აფრიკაში 800-ზე მეტი საწარმო მოქმედებდა ჩინური კაპიტალით. აფრიკელთა განცხადებით, ჩინეთი არ ახდენს აფრიკის კოლონიზაციას, ისე, როგორც ეს ხდებოდა წინათ, 60 წლის განმავლობაში. ჩინეთი იმას აკეთებს, რაც დასავლეთმა არ გააკეთა აფრიკაში. მათი აზრით სწორედ აშშ მფარველობს აფრიკის ყველაზე რეაქციულ, კორუმპირებულ, დიქტატორულ რეჟიმებს, რაც უადვილებს მას გაიტანოს აფრიკის ქვეყნებიდან ნავთობი, ალმასი, ურანი, სხვა სტრატეგიული დანიშნულების წიაღისეული. დასავლეთს არა აქვს შემუშავებული აფრიკის ეკონომიკური განვითარების პროგრამა. ჩინეთმა კი წლეულს გამოაქვეყნა დოკუმენტი ჩინეთის პოლიტიკის შესახებ აფრიკაში, რომელშიც ნათლადაა ჩამოყალიბებული ჩინეთის ამოცანები და მიზნები აფრიკის ქვეყნების მიმართ. აფრიკის ქვეყნები აღიარებენ ჩინეთის ლიდერობას განვითარებად ქვეყნებში. მათი აზრით ჩინეთი სწორედ ის ქვეყანაა, რომელიც დაიცავს აფრიკის კონტინენტის ინტერესებს საერთაშორისო არენაზე.

**ჩინეთის მზარდ ავტორიტეტს აშშ ფარული გაღიზიანებით აღიქვამს. ის ყველაფერს შეეცდება ჩინეთის შესაჩერებლად, თუმცა თანამედროვე ჩინეთის შეჩერება არცთუ იოლი საქმეა. მსოფლიო ლიდერობისათვის ბრძოლა კულმინაციას აღწევს. დამდეგი ახალი, 2007 წელი, ამ თვალსაზრისით გამორჩეული იქნება. საქართველოსთვის ყველაზე დიდი პოლიტიკა, დიდების თამაშიდან შორს დგომაში უნდა გამოიხატებოდეს, მაგრამ ქართული ამბიციური ბუნება საწინააღმდეგო მიმართულებით მიგვაქანებს, რაც კარგის მომასწავებლად ნამდვილად არ ჩაითვლება. იქნებ გონს მოვეგოთ? ამის სურვილით და იმედით გისურვებთ ბედნიერებას და სიხარულს, დამდეგ ახალ წელს.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

# SOS!

**ღამით ქუჩები ავსებულია „სექსმუშაკებით“, იაფფასიანი სასტუმროები და საუნები ამ ინდუსტრიაში არალეგალურად არიან ჩაბმული. ეს კი ხელს უწყობს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებას**



## ინფორმაცია



### შალვა ნათელაშვილი საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს

**„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს, ელექტროენერგიაზე ფიქსირებული გადასახადის გაუქმების შესახებ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას ხელი შეუწყოს.**

**„თუ ის არ ჩაერევა და ხმას არ ამოიღებს, ისღა დაგვრჩენია, ვიფიქროთ, რომ მისი ისტორიული ფუნქციაა არა მარტო ხალხის ყვლეფა და მოტყუება, არამედ ის შეკრულია რუსეთის ყველაზე შავ და ოლიგარქიულ ძალებთან ჩუზაისის თამადობით“, — განაცხადა ნათელაშვილმა პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე.**

**ნათელაშვილმა მოუწოდა მოსახლეობას — დღეიდან თუ თქვენთან მოვა „თელასის“ წარმომადგენელი ძველი გადასახადის ამოსაღებად, დაურეკეთ პატრულს და ჩააბარეთ პროკურატურას, რადგან ის ოფიციალური წარმომადგენელი კი არ არის, არამედ ყაჩაღი და ბანდიტია.**

### საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა

**„ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა, პარტიის პრეზიდიუმის წევრები გურამ ჩახვაძე, გოგა გოგნიაშვილი და შოთა ინანეიშვილი.**

**როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, თუ საქართველოში დემოგრაფიული სტატისტიკის ძირითად მაჩვენებელს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ საქართველოში ძალიან მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობა. ყოველ ათას ახალშობილზე გარდაცვლილთა რიცხვი 38, დასავლეთ ქვეყნებში კი ამგვარი რიცხვი 5-დან 7-მდე მერყეობს.**



**დღეს საქართველოს მოსახლეობა ოთხი მილიონ ოთხასი ათასს შეადგენს. პარტიაში მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ტენდენციები განსაკუთრებით შემაშფოთებელია საქართველოს მკვიდრი მოსახლეობისთვის. ქვეყნის გენოფონდმა უკვე გადააბიჯა კრიტიკულ ზღვარს, ანუ საქართველოს ერის გადაშენების პროცესია დაწყებული. გაეროს მიერ საქართველო უკვე დემოგრაფიულად მომაკვდავი ქვეყნების სიაშია შეყვანილი.**

**ინტერპრესნიუსი**

## პრობლემა

***საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები განაპირობებს პროსტიტუციის, ნარკომანიის, პედოფილიის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა რიცხვის მატებას. საქართველოში ეს პროცესები 10-12 წელიწადია მასშტაბურად მიმდინარეობს.***

***ძირითადი მიზეზები, რაც იწვევს პროსტიტუციის, ნარკომანიისა და პედოფილიის მატებას, არის მოსახლეობის მასობრივი დაუსაქმებლობა, უმუშევრობა და საარსებო მინიმუმის არარსებობა. ასე ფიქრობს კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გიორგი გალდავა.***

# ღამით ქუჩები ავსებულია „სექსმუშაკებით“

**საქართველოში ჯანმრთელი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი 30-დან 40 პროცენტამდე მერყეობს**

— ადამიანის უფლებების კონვენციიდან გამომდინარე, დღეს გართულებულია ვენერიული დაავადებების მატარებელთა აღრიცხვიანობა, მათი საპასპორტო მონაცემების არარსებობის საფუძველზე. ჩვენთან მოსულ პაციენტს ექიმი ვერ მოსთხოვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას, რათა მისი ანონიმურობა გარანტირებული იყოს. ამის გამო, ასევე ვერ დგინდება დაავადების სავარაუდო წყაროსა და კონტაქტების ვინაობა. ექიმიც ვალდებულია ანონიმურობა დაიცვას, თუმცა მის ვალდებულებაში შედის, სახელმწიფოს ანგარიში წარუდგინოს დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში.

ჩვენთან მრავალი კატეგორიის ადამიანი მოდის — მეძავები ქუჩიდან და ჯერჯერობით არაოფიციალური საროსკიპოებიდან, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და ისეთი პიროვნებებიც, ვისაც შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტის დამყარების შემდეგ სურს გამოკვლევების ჩატარება გადამდებ დაავადებებზე.



ასეთი პიროვნებების თვითმომართვა ადრეულ წლებში ძალიან მცირე იყო, რადგან მოსახლეობის ფართო ფენებმა და სექსმუშაკებმა არ იცოდნენ, სად შეიძლებოდა ჩატარებულიყო სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე როგორც გამოკვლევები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობაც. ხშირად ჩვენი პროფილის პაციენტები მიმართავდნენ სამშობიაროებს, ქალთა კონსულტაციებს, უროლოგიურ და ინფექციურ კლინიკებს, საავადმყოფოებს, სადაც არ მუშაობენ ამ დარგის სპეციალისტები და სადაც სპეციფიური ლაბორატორული კვლევები არადამაკმაყოფილებლად ტარდება. ამ ტიპის დაწესებულებებში ხშირია ვენერიული დაავადებების არასწორი მკურნალობის შემთხვევებიც.

კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები, სოციალური მუშაკის დახმარებით, რისკჯგუფების სავარაუდო თავშეყრის ადგილებში გადიან და ატარებენ ე.წ. საველე სამუშაოებს — ქუჩებში, საუნებში, სასტუმროებში. სექსმუშაკებს აძლევენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ აუცილებელია გარკვეული პერიოდულობით ნებაყოფლობითი გამოკვლევების ჩატარება სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე (სგგდ), ავრცელებენ სანიტარიულ-საგანმანათლებლო ლიტერატურას, კონდომებს, რითაც ვცდილობთ დავეხმაროთ, როგორც სექსინდუსტრიაში ჩართულ მუშაკებს, ასევე მათ „მომხმარებლებსაც“.

ბოლო დროს სექსინდუსტრიაში ტრეფიკინგის მსხვერპლებიც გამოჩნდნენ. მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი ტრანზიტული თუ არატრანზიტული გზით ჩვენს ქვეყანაში აღმოჩნდა. ინსტიტუტში გვქონდა რამდენიმე შემთხვევა. ერთ-ერთი იყო სუდანელი დედაშვილი. ტრეფიკინგის მსხვერპლები გვყავდნენ შუააზიიდანაც, რომელთაგანაც ერთ-ერთს შიდსი აღმოაჩნდა. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, მათ 90 პროცენტს სქესობრივი გზით გადამდები სხვადასხვა დაავადება დაუდგინდათ.

ტრეფიკინგი აქტუალური პრობლემაა, რადგან საქართველო ევროპა-აზიის დამაკავშირებელი დერეფანია. ეს კი ხელს უწყობს, რომ საქართველო იქცეს არა მარტო ნარკობიზნესის სატრაზინტო ქვეყნად. ტრეფიკინგის მრავალი მსხვერპლი და უკანონო მიგრანტი ჩვენი დერეფნით სარგებლობს და ევროპიდან აზიაში ან პირიქით მოგზაურობს.

საქართველოში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებთან დაკავშირებით ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს, რადგან არ არსებობს ცენტრალიზებული სისტემა. ჯანმრთელი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი დაახლოებით 30-დან 40 პროცენტამდე მერყეობს. ეს სავალალო ციფრი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ყოველი ათი რეპროდუქციულად მომწიფებული ადამიანისგან შვიდი დაავადებულია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით. თუმცა, სრული სურათი რომ გვქონდეს, ჯანმრთელი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იქნება, — ამბობს გიორგი გალდავა.

2004 წლის მონაცემებით, საქართველოს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში რეგისტრირებულია 1055 შიდსის ვირუსით ინფიცირებული. სავარაუდოდ, მათი ციფრი 3000 აღწევს. 435 შიდსითაა დაინფიცირებული, დანარჩენი კი აივ პოზიტიურია. 2006 წელს — 175. დაავადების გადაცემის გზებია ნარკოტიკების მოხმარება — 64 %; სექსუალური გზით — 33 %; სისხლის გადასხმით — 4 შემთხვევა, დედიდან შვილზე — 1%; 1% კი დაუდგენელია, რადგან პაციენტებს ანონიმური გამოკვლევა გაუკეთდა (სომხეთში 2006 წლისთვის დარეგისტრირებულია 390 ადამიანი, ხოლო აზერბაიჯანში — 982ძ.

ღამით ქუჩები ავსებულია „სექსმუშაკებით“, იაფფასიანი სასტუმროები და საუნები ამ ინდუსტრიაში არალეგალურად არიან ჩაბმული. ეს კი ხელს უწყობს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელებას. — 2006 წლის ათი თვის მონაცემებით, სიფილისი დაუდგინდა — 403; გონორეა — 737; ქლამიდიოზი — 621; ტრიხამონოზი — 976.

მეძავებზე, ნარკომანებზე, პედოფილებზე, მაწანწალა ბავშვებზე ტრეფიკინგის მსხვერპლებში ფსიქოლოგიური დახმარების ადგილზე ჩატარება აუცილებელია. ამ კატეგორიის ადამიანების 80-90% რეალურად საჭიროებს არამარტო სამედიცინო, არამედ ფსიქოლოგიურ დახმარებასაც, რადგანაც მათ საკმაოდ ნერვულ-სტრესულ გარემოში უწევთ „მუშაობა“ და საკმაოდ მძიმე რეალური და წარსული ცხოვრება აქვთ.

— პრობლემები, რასაკვირველია, გვაქვს. თუნდაც ის, რომ არ შეგვიძლია სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, რადგან ოფიციალური სახელმწიფო უწყებების გარდა, ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით, 250 კერძო კლინიკაა, რომლებიც მუშაობენ ვენერიული დაავადებების დიაგნოსტიკაზე, მაგრამ სტატისტიკას ჩვენ არ გვაძლევენ. როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში მკურნალობა ანონიმურია. შიდსის ცენტრში მოგვაკითხა ერთმა ქალბატონმა, რომელიც შიდსის ვირუსით თურქეთში დაავადდა, სავარაუდოდ, იგი ტრეფიკინგის მსხვერპლი იყო. ძირითადად გვაკითხავენ შიდსით დაავადებული ის ქალბატონები, რომელთა მეუღლეებიც უკრაინასა და რუსეთში ინტრავენური გზით გახდნენ შიდსის ვირუსის მატარებლები, — ამბობს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის წარმომადგენელი **მარინა დგებუაძე.**

ტრეფიკინგის მსხვერპლი რისკის ჯგუფში შედის, რადგან მეტი შანსი აქვს დაავადდეს, როგორც ვენერიული დაავადებებით, ასევე შიდსით. რისკის ქვეშ არიან ის მიგრანტებიც, რომლებმაც არ იციან რა არის აივ ინფექცია და სხვა დაავადებები.

სპეციალისტთა თქმით კი, ვენერიული დაავადებები საწინდარია უშვილობის, იმპოტენციის... ვენერიული დაავადებები წინაპირობაა ონკოლოგიური დაავადებებისაც.

**„ეს დაავადებები გვიან იწვევენ მძიმე შედეგებს. პრობლემის რეალურ სურათსაც ვერ ვფლობთ, რადგან ეკონომიკური კრიზისის გამო, მოსახლეობა არ მიმართავს ექიმს და ძირითადად თვითმკურნალობას იტარებს, ან მკურნალობენ არაპროფესიონალები. ორი წლის წინათ, სრული ვაკუუმი იყო საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, არ არსებობდა არანაირი განვითარების პერსპექტივა. ეტაპობრივად აღდგა საერთაშორისო ურთიერთობები, პირველ რიგში — სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ჩატარდა კონფერენციებიც ბათუმში, თბილისსა და ყაზახში. დაარსდა „სამხრეთ კავკასიის დერმატოლოგიისა და ნევროლოგიის ცნობარი“, რომლის მესამე ნომერი იანვრის პირველ რიცხვებში გამოვა. მჭიდრო ურთიერთობები გვაქვს რუსეთთან, ბელორუსიასთან, უკრაინასთან, ისრაელთან. ჩვენი დარგი მიღწეული წარმატებებისათვის მესამე ადგილზე გავიდა ევროპაში და საქართველო დაჯილდოვდა ბრინჯაოს მედლით, სიგელებით და დიპლომით. სტატისტიკა კვლავ პრობლემაა — ყველა ექიმი არ აღრიცხავს გამოვლენილ დაავადებას. თუმცა არ ვთხოულობთ პაციენტის ვინაობას, ციფრებსაც ვერ ვღებულობთ. პრობლემები მაინც დარჩა,“** — ამბობს გიორგი გალდავა.

**ოლღა ცისკარიშვილი**



● ცვლილებები გაამარტივებს არსებული კანონის გაგებას, უზრუნველყოფს აღსრულების სისტემის მუშაობის გაუმჯობესებას, ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სამართლებრივი შეგნების ამაღლებას



◎ სამართალი

*ხშირად გაიგონებთ, სამართალმა პური ჭამო. ბუნებრივია, ამას მაშინ ამბობენ, როცა სასამართლოს ობიექტური და მიუკერძოებელი განაჩენი გამოაქვს. თუმცა ყოველთვის ამით როდი მთავრდება საქმე. შეიძლება სასამართლომ ყოვლად სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს, მაგრამ თუ ის არ აღსრულდა, სამართალმა მაინც ვერ იზეიმოს.*

*აი ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი აკისრია საალსრულებო სისტემას, რომლის გამართულ მუშაობაზეც ბევრად არის დამოკიდებული სასამართლოს მიერ მიღებული ამა თუ იმ გადაწყვეტილების აღსრულება. სწორედ მის კომპეტენციას განეკუთვნება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ, სამართალდამრღვევის, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული განაჩენის აღსრულება თანხის გადახდევინებისა და სასჯელის ზომად ჯარიმის განსაზღვრის ნაწილში, რომელსაც ეგრეთ წოდებულ სისხლის ჯარიმებად მოიხსენიებენ.*

*ეს მხოლოდ მოკლე ჩამონათვალია იმ საქმეებისა, რომლებიც ამ ფრიად საპასუხისმგებლო სამსახურს ევალება და რომელთა უკანაც მოქალაქეები, ცალკეული ორგანიზაციები, საწარმოები, კომპანიები, ფიზიკური თუ იურიდიული პირები დგანან. ამიტომ, ბუნებრივია, საკეთებელიც ბევრია და პრობლემებიც, რომლებიც გადაწყვეტას მოითხოვენ.*

*ამის თაობაზე ვესაუბრე საქართველოს საალსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ახალგაზრდა, მაგრამ ამ დარგში მუშაობის საკმაოდ მდიდარი პრაქტიკის მქონე სპეციალისტს ზურაბ ელისაბედაშვილს. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს აღმასრულებლად, მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის საალსრულებო ბიუროს უფროსად, ფინანსთა სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში, კერძო სადაზღვევო კომპანიაში, საქართველოს საალსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. 2006 წლის თებერვლიდან ამავე დეპარტამენტის თავმჯდომარეა.*

# გარანტია, რომელსაც კანონი იძლევა

## ყველა სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულდება

— საქართველოში საალსრულებო სისტემა, — ამბობს ბატონი ზურაბი, — ადრეული წლებიდან, საბჭოთა კავშირის პერიოდშიც და საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებშიც, 1999 წლის მაისამდე, შედიოდა სასამართლოს სისტემაში და წარმოადგენდა სასამართლოს განუყოფელ ნაწილს. ბუნებრივია, აღსრულებისათვის საჭირო საკანონმდებლო ნორმებიც მოქცეული იყო ამ დროისათვის მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

**— ქვეყანაში განხორციელებულმა სასამართლო რეფორმამ, როგორც ჩანს, საალსრულებო სისტემასაც უწია. კერძოდ, რა შეიცვალა?**

— შეიცვალა ის, რომ რეფორმის შემდეგ საალსრულებო სისტემა გამოეყო სასამართლოს და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში შეიქმნა საალსრულებო სამსახური საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან დამოუკიდებლად შეიქმნა კანონი „საალსრულებო წარმოებათა შესახებ“, რომელიც არეგულირებს საალსრულებო წარმოების პროცედურებს.

ქვეყნის რეგიონებში საალსრულებო სამსახურის ფუნქციას შესაბამისად ასრულებენ საალსრულებო ბიუროები, რომელთა რაოდენობა, თბილისის ჩათვლით, თერთმეტს არ აღემატება, სამუშაოთა მოცულობა კი საკმაოდ დიდი და საპასუხისმგებლოა.

**— ბატონო ზურაბ, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ჩანს ის ცვლილებები, რაც საალსრულებო სისტემას დღემდე შეეხო, საკმარისი არ არის. როგორ ფიქრობთ, მოითხოვს თუ არა ის რეფორმირებას?**

— შეიძლება წარმოუდგენლადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია, რომ 2004 წლამდე სასამართლოს აღმასრულებლის ხელფასი არ აღემატებოდა 21 ლარს, თუმცა ბატონ მიხეილ სააკაშვილის იუსტიციის მინისტრობის პერიოდში სამინისტროს სპეციალური ანგარიშიდან ისინი იღებდნენ პრემიებსაც. ამან ბუნებრივია, რეკორდულად გაზარდა იმ წლებში როგორც ბიუჯეტში გადარიცხული თანხების, ისე შესრულებულ საქმეთა რაოდენობა.



**— ახლა ამ მხრივ როგორი მდგომარეობაა?**

— ეს მაჩვენებლები ახლაც მკვეთრად უმჯობესდება. თუ 2003 წლის 9 თვეში, მაგალითად, აღსრულდა 7438 საქმე და ბიუჯეტში გადაირიცხა 1161742 ლარი, წელს შესაბამის პერიოდში აღსრულებულია 18960 საქმე, ხოლო ბიუჯეტში გადარიცხულია 5 592 062 ლარი. ამას ჩვენ მივაღწიეთ შეზღუდული დაფინანსების პირობებში, სასამართლოს აღმასრულებლებისათვის პრემიალური გასამრჯელოს დაწესებით და მკაცრი ადმინისტრირებით, მაგრამ თავისთავად არასაკმარისია.

რეფორმის უპირველესი წინაპირობა არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაა. ამ მიზნით უკვე მომზადებულია „საალსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც წარდგენილია პარლამენტში.

კანონის უმთავრესი სიახლე გახლავთ საალსრულებო დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულებად — აღსრულების ეროვნულ ბიუროდ გარდაქმნა. ასევე მნიშვნელოვნად იცვლება ეროვნული ბიუროს თანამშრომელთა და სასამართლო აღმასრულებელთა მატერიალური უზრუნველყოფის სისტემა, თითოეულ თანამშრომელს უჩნდება სწრაფი და სრულყოფილი საქმიანობის მოტივაცია, რისთვისაც ის მნიშვნელოვნად გაზრდილ ანაზღაურებას მიიღებს.

როგორც ბატონმა ზურაბ ელისაბედაშვილმა განაცხადა, სისტემის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის ასამაღლებლად ფაქტობრივად იქმნება ეროვნული ბიუროს ახალი სტრუქტურა. ცვლილება ეხება ასევე სასამართლო აღმასრულებელთა სამსახურში მიღების პრინციპს. სავალდებულო ხდება იუსტიციის სასწავლო კურსის გავლა, გამოცდების ჩაბარება და კონკურსში გამარჯვება, რამაც უნდა უზრუნველყოს მათი პროფესიული დონის ამაღლება.

თითოეული საალსრულებო მოქმედებისთვის განსაზღვრულია ხარჯები, მათი გადახდის წესი და ოდენობა, რაც მაქსიმალურად გამჭვირვალეს გახდის ამ პროცესს და მოხსნის აქამდე არსებულ უამრავ პრობლემას, მკვეთრად შეამცირებს კორუფციული გარიგებების შესაძლებლობებს.

არის სხვა მნიშვნელოვანი სიახლეებიც. ერთ-ერთი ასეთი სიახლე, რომელიც კრედიტორების ინტერესების დაცვას ემსახურება, არის მოვალის რეესტრის წარმოება. აღსრულების ეროვნული ბიურო ქმნის მოვალის რეესტრსა და დაინტერესებულ პირს, ზუსტად განსაზღვრული პროცედურით, მიაწვდის ინფორმაციას იმ პირის შესახებ, რომელიც აღმასრულებლად მიქცეული საალსრულებო დოკუმენტით წარმოადგენს მოვალეს. მოვალის რეესტრში მოხვედრილი პირის მიმართ დაწესდება გარკვეული შეზღუდვები.

საალსრულებო წარმოების პროცესში შემოდის კიდევ ერთი, აღსასრულებლად სავალდებულო აქტი — ნივთის აუქციონზე რეალიზაციის შემდეგ, შემძენის განცხადების საფუძველზე, საალსრულებო ბიუროს უფროსის მიერ, შესაბამისი პროცედურების დაცვით, ამ ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის და ახალი მესაკუთრისათვის გადაცემის შესახებ გაცემული საალსრულებო განკარგულება.

ასეთი ცვლილებები მნიშვნელოვნად დააჩქარებს და გაამარტივებს საქმეთა წარმოებას, რაც შეღავათია მონაწილე მხარეებისათვის (ძირითადად კრედიტორისა და ქონების შემძენისთვისძ, ამავე დროს ამ ტიპის დავებისგან მნიშვნელოვნად განტვირთავს სასამართლოებს. იგი ხელს შეუწყობს ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას და შეამცირებს ბიზნესსექტორში კომერციული ურთიერთობისთვის დამახასიათებელ რისკებს.

საალსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ ცვლილებები გაამარტივებს არსებული კანონის გაგებას, უზრუნველყოფს აღსრულების სისტემის მუშაობის გაუმჯობესებას, ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სამართლებრივი შეგნების ამაღლებას. ეს ყველაფერი თავისთავად აისახება საზოგადოებაზე, კონკრეტულად იმ მოქალაქეებზე, რომლებმაც გამოიყენეს კონსტიტუციური უფლება, სასამართლოში მოიგეს დავები, მიიღეს შესაბამისი აქტი აღსრულების უზრუნველსაყოფად. ზემოაღნიშნული ცვლილებები მათ შეუქმნის გარანტიას, რომ ყველა სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულდება.

ეს არ გახლავთ დაპირება. ამის გარანტიას კანონი იძლევა.

**ოთარ ხუციშვილი**

◎ ბედი მდევარი

# ამბავი ერთი ქალიშვილისა

**(მეშვიდე გვერდიდან)**

ამის შემდეგ ჩემი მთავარი მიზანი სწავლა გახდა, ჩემს მეგობრებს დავყვებოდი მასწავლებლებთან, ვართმევდი მათ კონსპექტებს, ვიწერდი და ისე ვმეცადინეობდი. არ ვმალავ, ხშირად ლუკმაპურიც მენატრებოდა, ჩუსტებიც არ მქონდა, საწერკალამს ხან ვინ მჩუქნიდა და ხან ვინ, ხშირად სხვისი მორჩენილი ღვეზელი მიჭამია, მაგრამ მე არ მრცხვენია ამის თქმის, რადგან დიდი იყო ჩემში წადილი სწავლისა... ავისრულე კიდეც საწადელი — დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

**— ახლა რას აკეთებთ, სად მუშაობთ?**

— ადვოკატი ვარ, მინდა გითხრათ, რომ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, საპროცესო სამოქალაქო საქმეში განსაკუთრებით მკაცრი ვარ იმ ადამიანების მიმართ, ვინც ცდილობს შვილების მიტოვებას, ვინც ცუდი მამაა, ან ცუდი დედა. 43 წლის ქალი ვარ და დღემდე ვერ შევივსე დედმამის სითბო, ვერ მეყო იმ ხალხის სითბო, რომელსაც ადრეც მიწილადებდნენ და ამჟამადაც ვგრძნობ. ამიტომაც მოვუწოდებ ახალგაზრდებს, იოლად ნუ დაანგრევთ ოჯახს, იფიქრეთ შვილებზე, მათ ბედზე, გიყვარდეთ ქმარი და პატივი ეცით მას.

ისე გულწრფელად და ამაღელვებლად ყვებოდა თავის ცხოვრებაზე, ძლივს ჩავერთე და, ოჯახი რატომ არ შექმენი-მეთქი, ვკითხე.

— მართალი გითხრათ, გონებრივმა შრომამ დამღალა, პირველ სიყვარულში მარცხის შემდეგ მამაკაცებს ეჭვის თვალით ვუყურებ. ახლა ჩემთვის მთავარია, ადამიანებს დავეხმარო, პატიოსნად შევასრულო ჩემი მოვალეობა. ვერავინ იტყვის, რომ მოვატყუე, მასთან არ ვიმუშავე და ისე გადავახდევინე საფასური (პატიმარი ხედავს, თუ როგორ ვმუშაობ მასთანძ. ამაყად დავდივარ ქუჩაში, რადგან ულირსად მოქცევას ვერავინ დამწამებს. თითქოს შევეჩვიე მარტოობას, მაგრამ მარტო არა ვარ, რადგან ჩემს გარშემო უამრავი კეთილი ადამიანი ტრიალებს.

ერთხელ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ერთმა ღვაწლმოსილმა მოსამართლემ მადლობა გადამიხადა, ირმა შენი განვლილი მწარე ცხოვრების შესახებ ბევრი შევიტყვე და მიკვირს, მიუხედავად ყველაფრისა, ამდენი გულის სითბო როგორ შეინარჩუნე, რომ მუდამ ცდილობ მოგვეფერო და გაგვამხნევოო.

**— ირმა, ხომ გჯერა ხვალინდელი დღის?**

— რა თქმა უნდა, მჯერა და მიხარია, რომ ადამიანებს გამოვადექი. ახლა არაფერზე და არავისზე არა ვარ დამოკიდებული, ვცხოვრობ თბილისში, ნელ-ნელა ვიძენ იმას, რაც ასე მაკლდა ბავშვობაში. ჩემს ბინაში ადამიანების სითბო ტრიალებს. მწარე ბავშვობამ თავი არ დამაკარგვინა და ჩემი საქმე მაპოვნინა, ამით ნამდვილად ამაყი ვარ, მაგრამ ზოგჯერ ისევ მომეძალება სევდა. განვლილმა ცხოვრებამ ჩემს გულს თავისი დაღი დაასვა, ამიტომაც არის, რომ ჩემი მეზობელი კარდიოლოგი ჯალაბაძე ხშირად შემახსენებს, გულს გაუფრთხილდიო. როცა რამე მაწუხებს, მაშინვე კარდიოგრამას გადამიღებს და მკურნალობას დამინიშნავს. ასეთ ადამიანებს ხომ უნდა ამაგის დაფასება...

— იცით, ეს ქალი ძალიან კარგი ადამიანია, — მეუბნება ირმას მეზობელი ნატო ჩვენი დიალოგის დასასრულს და ვხვდები, რომ ირმა ნამდვილად არ არის მარტო. მას უამრავი კეთილი ადამიანი ახვევია გარშემო. მან ეს დაიმსახურა.

როგორც დიდი ხნის წინათ ვწერდი სანთელ-საკმეველმა გზა მართლაც არ დაკარგა და ირმა ჩვენი საზოგადოების ღირსეული ქალი გახდა. ვუსურვებ, 2007 წელს მრავალი სიხარული მოეტანოს მისთვის.

**ლალი ქინქლაძე**

№ 257. ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 2006 წელი.

**საქართველოს გაზის გამანაწილებელმა კომპანიებმა უკვე გააფორმეს კონტრაქტები რუსეთის გაზის ამ მონოპოლისტთან, თანაც ისინი ბუნებრივ აირს „გაზპრომისგან" მიიღებენ სწორედ ისეთი მოცულობით, რომლის მიღების იმედიც ჰქონდათ ჰაშ-დენიზის საბადოდან – 1,1 მილიარდი კუბური მეტრი**



**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

## სააკაშვილმა ვერ იპოვა იაფი გაზი



№ 257. ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 2006 წელი.

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის აზერბაიჯანში ვიზიტის წინ პრესა წერდა: პრემიერის ჩასვლა ბაქოში განაპირობა იმან, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ანკარასა და სტამბოლში ამ ცოტა ხნის წინ გამართული შეხვედრების დროს ვერ შეძლო რაიმე კონკრეტული მორიგებების მიღწევა. ექსპერტთა შეფასებით, ყოველივე ამის მიზეზი გახდა ის, რომ მხარეებმა ვერ შეიმუშავეს თურქეთისთვის ბუნებრივი აირის იმ მოცულობის ანაზღაურების სქემა, რომელიც საქართველომ შეიძლება მიიღოს 2007 წლისთვის – საქართველოს პრეზიდენტს არაორაზროვნად მიანიშნეს, რომ თურქეთს სურს 800 მილიონი კუბური მეტრი გაზის მიწოდების შედეგად წარმოქმნილი ვალი თბილისმა დაფაროს ანკარისთვის ამავე რაოდენობის „ცისფერი სათბობის" დაბრუნებით, მაშინ როცა საქართველოს მხარე ამჯობინებდა გაზის საფასურის გადახდას ფულით, ან მის სანაცვლოდ თურქეთისთვის მოჭარბებული ელექტროენერგიის მიწოდებას.**

აზერბაიჯანთან დაკავშირებითაც ყველაფერი არ არის გადაწყვეტილი – მხოლოდ იანვრის დამდეგს გახდება ცნობილი, თუ როდის შეიძლება ჰქონდეს საქართველოს შაჰ-დენიზის საბადოდან გაზის მიღების იმედი. 15 დეკემბრის შემდეგ იქ შეწყდა გაზის მოპოვება. როგორც ქართული ტელეკომპანია „რუსთავი"-2 იტყობინებოდა, ამის მიზეზია ტერორისტული აქტი, მაგრამ ოფიციალური ინფორმაციით, პირველ ჭაბურღილზე მოულოდნელად წარმოიქმნა ტექნიკური ხასიათის პრობლემები. ერთი სიტყვით, იმ 10 მილიონ კუბურ მეტრ გაზს, რომლის მიღებაც საქართველოს სურდა მიმდინარე წლის დამლევამდე აზერბაიჯანიდან, თბილისი ნამდვილად ველარ მიიღებს.

და მაინც, როგორც გასულ პარასკევს თბილისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა საქართველოს მთავრობის მეთაურმა ზურაბ ნოღაიდელმა, სწორედ აზერბაიჯანი გახდება საქართველოს ძირითადი პარტნიორი გაზის მიწოდების საკითხში. „ამ საქმეში მთავარია ჩვენი სტრატეგიული არჩევანი, – თქვა ნოღაიდელმა. – ჩვენ ვერ ვიქნებით მუდმივი პოლიტიკური ზემოქმედების და შანტაჟის ქვეშ და არ შეიძლება მთლიანად ვიყოთ დამოკიდებული მხოლოდ ერთ მომწოდებელზე, ამ შემთხვევაში – რუსეთზე". თუმცა მან იქვე აღიარა, რომ საქართველო მაინც აპირებს თანამშრომლობას „გაზპრომთან".

საქართველოს გაზის გამანაწილებელმა კომპანიებმა უკვე გააფორმეს კონტრაქტები რუსეთის გაზის ამ მონოპოლისტთან, თანაც ისინი ბუნებრივ აირს „გაზპრომისგან" მიიღებენ სწორედ ისეთი მოცულობით, რომლის მიღების იმედიც ჰქონდათ ჰაშ-დენიზის საბადოდან – 1,1 მილიარდი კუბური მეტრი. მაგრამ „გაზპრომმა" წინათ გამოცხადებული ტარიფი – 230 დოლარი ყოველი ათასი კუბური მეტრი გაზისთვის, უკვე 235 დოლარამდე გაზარდა, რაც ყველაზე დიდი განაკვეთია რუსეთის ბაზარზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში. თუმცა, როგორც ნოღაიდელი აცხადებდა, „გაზპრომთან" გაფორმებული კონტრაქტის მოქმედების ვადა იქნება სულ რამდენიმე კვირა, სანამ არ აღმოიფხვრება პრობლემები შაჰ-დენიზის საბადოში.

პრესამ და ოპოზიციამ ვერ მოახერხეს მთავრობისგან მიეღოთ კონკრეტული პასუხი იმის თაობაზე, თუ რამდენის გადახდა მოუწევს მოსახლეობას გაზისთვის 2007 წელს. „დაპირებების მიუხედავად, მთავრობამ ვერ შეძლო ქვეყნის უზრუნველყოფა იაფი გაზით, და ახლა დგას მოსახლეობის მიზნობრივი სუბსიდირების საკითხი – გაზის ფასის მომატება გარდუვალია", – ასე განმარტა მთავრობის დუმილის მიზეზი პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციის „ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ.

სხვათა შორის, 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე დაამტკიცებენ 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებათა პაკეტს, რაც განპირობებულია იმით, რომ გაზით მომარაგება დამატებით ხარჯებს მოითხოვს.

**(იბეჭდება შემოკლებით)**

**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## ხელშეკრულება იანვარში დაიდება

**ბაქოს სამუშაო ვიზიტად ეწვია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რომელმაც უკვე გამართა პირისპირ შეხვედრა თავის აზერბაიჯანელ კოლეგასთან არტურ რასიზადესთან.**

ამის შემდეგ, უკვე გაფართოებული შემადგენლობით მიმდინარე შეხვედრის დროს, აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საჭიროა გაიმართოს კერძო შეხვედრები, რათა მხარეებმა შეძლონ ენერგეტიკული კომპლექსისა და ტრანსპორტის სფეროში მთელ რიგ გადაწყვეტილებათა კოორდინირება, არსებული პრობლემების მოგვარება. როგორც რასიზადემ თქვა აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობას მყარი საფუძველი ჩაეყარა ორი ქვეყნის პრეზიდენტების მტკიცე მეგობრული კავშირურთიერთობის წყალობით.

ნოღაიდელმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ყველა არსებული პრობლემა, ისევე როგორც წინათ, ახლაც ერთობლივი ძალისხმევით გადაიჭრება.

მოლაპარაკების შედეგების შეჯამებისას, არტურ რასიზადემ აღნიშნა, რომ მომავალი წლის იანვარში დასრულდება მუშაობა ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის პროექტის დოკუმენტირებისთვის და, სავარაუდოდ, ხელს მოაწერენ შესაბამის შეთანხმებას. რკინიგზაზე სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოების დაწყებას მაისისთვის აპირებენ.

ენერგეტიკის სფეროში მიღწეულია მორიგებები აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის ახალი ხაზების გაყვანის შესახებ, საქართველოს ტერიტორიაზე ახალი ელექტროსადგურების მშენებლობაში აზერბაიჯანის მონაწილეობის თაობაზე, აგრეთვე ზამთრის თვეებში მხარეებს შორის ელექტროენერგიის გაცვლის შესახებ. აზერბაიჯანი ასევე დაეხმარება საქართველოს ზამთრის თვეებში გაზით უზრუნველყოფის საქმეში და ამ მიზნით მეზობელ სახელმწიფოს დღე-ღამეში მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიაწვდის.

REGNUM

## რუსეთმა თბილისიდან გაიყვანა ჯარები



(TASS)

**რუსეთმა დაასრულა თბილისიდან საჯარისო ქვეგანაყოფების გაყვანა. რუსი სამხედრო მოსამსახურეების ბოლო ჯგუფმა დატოვა საქართველოს დედაქალაქი და ჩავიდა ბათუმში, სადაც ისინი დარჩებიან თითქმის 2008 ბოლომდე, ანუ მანამ, სანამ ამოიწურება საქართველოდან რუსეთის ჯარების საბოლოო გაყვანის ვადა.**

ოფიცრები აჭარის დედაქალაქიდან უხელმძღვანელებენ რუსეთის ჯარების გაყვანას ახალქალაქიდან და ბათუმიდან. არსებობა შეწყვიტა რუსეთის შეიარაღებული ჯარების თბილისის გარნიზონმა. რუსეთსა და საქართველოს შორის მიღწეული მორიგებების თანახმად, ახალქალაქის ბაზა უნდა დაიხუროს 2007 წლის დამლევამდე, ბათუმისა კი – ერთი წლის შემდეგ.

ქართულ მხარეს გადაეცა მთელი უძრავი ქონება, მათ შორის ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბის მთავარი შენობა, რომელიც თბილისის ცენტრში მდებარეობს. შტაბის შენობათა კომპლექსის მიღება-გადაცემის დოკუმენტებს ხელი მოაწერეს რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალმა გენერალმა ანდრეი პოპოვმა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ნიკოლეიშვილმა.

თბილისის გარნიზონის კუთვნილი ტექნიკა და ქონება საქართველოდან უკვე გაიტანეს ოთხი სარკინიგზო ეშელონით. ბოლო შემადგენლობამ 14 დეკემბერს აიღო გეზი სომხეთის ქალაქ გიუმრისკენ, სადაც განლაგებულია რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზა. მანამდე კი თბილისიდან გაემგზავრა კიდევ სამი ეშელონი. სულ გაიყვანეს 380-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, გაიტანეს 100-მდე ერთეული ჯავშანტექნიკა და 350 ტონაზე მეტი სამხედრო ქონება და ტყვია-წამალი.

თბილისიდან რუსეთის ჯარების გასვლის შემდეგ, შტაბის შენობა გადაეცემა ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტს. სავარაუდოდ, ეს უზარმაზარი შენობა, რომელიც მდებარეობს თბილისის პრესტიჟულ უბანში, მიმდებარე ტერიტორიასთან ერთად აუქციონზე გაიყიდება.

**გიორგი კობალაძე**

РАДИО СВОБОДА

## სააკაშვილმა მოიფიქრა, თუ როგორ წაართვას მოქალაქეებს ბინები და ოფისები

**საქართველოს ხელისუფლებას მალე მიეცემა იმის უფლება, რომ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს ჩამოართვას მისი საკუთრება და გადასცეს იმას, ვისაც მოეპრიანება. ეს მოხდება მას შემდეგ, რაც პარლამენტარები მოიწონებენ „საზოგადოებრივი სარგებლობისთვის საჭირო საკუთრების კონსფისკაციის წესების შესახებ" კანონის შესწორებას. არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ამ დოკუმენტის რედაქტირება მოხდება ისე, „როგორც საჭიროა". სახელმწიფოს ხომ არაფერი დარჩა გასაყიდი, ბიუჯეტს კი შევსება სჭირდება.**

ეს ისტორია დაიწყო თბილისის რუსთაველის პროსპექტზე მდებარე „Sony" საფირმო მაღაზიიდან. მაღაზიის პატრონებისთვის კუთვნილი ფართობის ჩამორთმევის მცდელობამ დიდი სკანდალი გამოიწვია – ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო პირველი პირების მონაწილეობით.

ალბათ, სწორედ მაშინ დაიბადა ასეთი იდეა: რა საჭიროა პოლიტიკური იმიჯის შელახვა, როცა კანონში ერთი-ორი პატარა ცვლილების შეტანით შესაძლებელი იქნება ნებისმიერი მესაკუთრის გალატაკება? ახლა სახელმწიფოს მიეცემა უფლება განახორციელოს მოქალაქეთა უძრავი ქონების „გასხვისება", თუ იგი „მდებარეობს სიცოცხლისათვის საშიშ ადგილებში", ან „უშლის ხელს სტრატეგიული ობიექტების მშენებლობას".

სქემა მარტივია. სხვისი საკუთრების წართმევისთვის ამიერიდან ნებისმიერმა სტრუქტურამ, მერიამ თუ კერძო კომპანიამ, უნდა მიაღწიოს მორიგებას პრეზიდენტთან იმის თაობაზე, რომ მან ესა თუ ის ობიექტი გამოაცხადოს „საზოგადოებრივი სარგებლობისთვის საჭიროდ". ამის შემდეგ მოხდება კიდეც ექსპროპრიაცია. ყოფილ პატრონს გადაუხდიან კომპენსაციას ან გამოუყოფენ ფართობს სადღაც ქალაქის გარეუბანში.

ხელისუფლება არცკი დაელოდა კანონის საბოლოოდ მიღებას. „გაკულაკება" უკვე დაიწყო. ტელეკომპანია „იმედის" მონაცემებით, ამ ბოლო ორი თვის განმავლობაში ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ რამდენიმე ათეული ბიზნესმენისგან უფასოდ მიიღო შენობები ძველ თბილისში. ამ „საჩუქართა" საერთო ღირებულებამ 6 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ეს ტენდენცია შეეხო არა მარტო თბილისს, არამედ რეგიონებსაც.

გარიგებებში „შუამავალია" პროკურატურა. იგი მეწარმის წინააღმდეგ აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს, შემდეგ კი სთავაზობს მას ამა თუ იმ ობიექტის გადაცემას სახელმწიფოსთვის. თუ მეწარმე დათანხმდება, გამოძიება შეწყდება. ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, კონსერვატორმა კახა კუკავამ, პრეზიდენტს შესთავაზა, რომ საქართველოს გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს მიანიჭოს „საქართველოს გენერალური ქურდის" წოდება.

**ალექსანდრე იაშვილი**

ИЗВЕСТИЯ

რეკლამა 98-96-32;
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 328576



№ 257. ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 2006 წელი.

# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს აუქციონს

## შპს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ვანის ქ.№1-ში მდებარე 15997,85 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (შემდგომში: „საიჯარო ქონება“) იჯარით გაცემის მიზნით

**1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები**

• **იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი , ვანის ქ.№1**

• **საიჯარო მიწის ფართი შეადგენს 15 997.85 კვ.მ.**

• **საწყისი თვიური საიჯარო ქირა - 24 000 ლარი**, დღგ-ს ჩათვლით.

• **იჯარის ვადა – 5 წელი**

• **„ბე“ - 24 000** ლარი.

• **ბილეთის ღირებულება** 100 ლარი.

• **ბიჯი – 300 ლარი**

• **განაცხადების მიღების ადგილი –** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-53-18, 56-33-70.

• **განაცხადების მიღების ვადა –** 2006 წლის 27 დეკემბრიდან 2007 წლის 10 იანვრამდე 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

• **აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო –** 2006 წლის 11 იანვარს. ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

• **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები –** „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.

• **აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ –** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**2. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი**

• თვიური საიჯარო ქირის მაქსიმალური ოდენობის შემოთავაზება.

**3. აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და ნასყიდობის ხელშეკრულების დადება**

• სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს გამარჯვებული მოიჯარე, მეაუქციონე, მდივანი, კომისიის დამსწრე წევრები და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე. აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ მოიჯარეს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ უბრუნდება.

• აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.

• აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, და ქონების მიღება-ჩაბარების აქტი. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მოიჯარე.

**4. საიჯარო ქირის გადახდის ვადები**

• მოიჯარე ვალდებულია იჯარის ხელშეკრულების დადებიდან მეიჯარეს გადაუხადოს საიჯარო ქირა ყოველთვიურად, ყოველი საანგარიშო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე. ამასთან, პირველი თვის საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

• თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი საიჯარო ქირის 0,1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

• თუ მოიჯარე არა დაფარავს წარმოქმნილ დავალიანებას 15 კალენდარული დღის ვადაში ან უარს გააცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე ჰკარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

**5. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები**

• დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, საიჯარო ქონების დასახელებას, რომლის იჯარით აღება სურს მას, საწყის თვიურ საიჯარო ქირის ოდენობას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს.

• „ბე“-ს და „მონაწილის ბილეთის“ ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

• აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

• იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

• სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციისა და „მონაწილის ბილეთის“ შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

**6. დამატებითი დათქმა**

• იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

• თვიური საიჯარო ქირის ოდენობა, მეიჯარის მოთხოვნით, შეიძლება გადაიხედოს ყოველ 1 წელიწადში ერთხელ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოს მიერ დადგენილი ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, რისთვისაც ბაზისად აღებული იქნება იჯარის ხელშეკრულების გაფორმების დღე. ამასთან, საიჯარო ქირა არ შეიძლება შემცირდეს მოცემული სააუქციონო პირობებით განსაზღვრულთან შედარებით.

• მოიჯარეს გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება საბოლოო ანგარისწორებისას.

• დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება.

• განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

• თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის იმავე საათზე.

• მეიჯარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება.

**სარეალიზაციო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.**

**შპს „საქართველოს რკინიგზა“**

# შპს „საქართველოს რკინიგზა“

## მის ბალანსზე რიცხული 6 ერთეული 2 ტე10მ ტიპის თბომავლის რეალიზების მიზნით აცხადებს აუქციონს

**ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ:**

6 ერთეული 2 ტე10მ ტიპის თბომავალი № 2035 გამოშვების წელი- 1984; №2036 გამოშვების წელი-1984; №2316 გამოშვების წელი-1985; №2461 გამოშვების წელი-1985; №2975 გამოშვების წელი-1987; №0835 გამოშვების წელი-1983;

სარეალიზაციო ქონება მდებარეობს ქ. ხაშურში, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „ხაშურის სალოკომოტივო დეპოს“ ტერიტორიაზე.

ქონების საწყისი სარეალიზაციო ფასი შეადგენს 1900000 (ერთი მილიონ ცხრაასიათასი) ლარს (დღგ-ს გარეშე). „ბე“-ს თანხა განისაზღვრება 95000 (ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარით. ბიჯი შეადგენს 10000 (ათი ათასი) ლარს.

მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 100 (ასი) ლარს.

თბომავლების გატანას შპს „საქართველოს რკინიგზის“ ტერიტორიიდან უზრუნველყოფს მყიდველი, საკუთარი ხარჯებით.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზებო ქონების დასახელებას, საწყის ფასს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებს.

„ბე“-ს თანხის და „მონაწილის ბილეთის“ ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები.

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით.

იურიდიული პირი დამატებით წარმოადგენს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს მონაწილე იღებს „მონაწილის ბილეთს“, რის შემდეგაც იგი ღებულობს მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის შემოთავაზება.

„ბე“-ს, „მონაწილის ბილეთის“ და სარეალიზებო ქონების გამოსასყიდი თანხის გადახდა უნდა მოხდეს შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე შემდეგ რეკვიზიტებზე: ბანკი რესპუბლიკა ცენტრ. ფილიალი ა/ა №3407003205 ბანკის კოდი №220101757 საიდენტიფიკაცო კოდი №202886010.

აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 11 იანვარს 12 საათზე შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში.

აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადები მიიღება აუქციონის ჩატარების თარიღამდე ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღე (შაბათ კვირის გარდა) 12 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზა“, მე-4 სართული, ტელ: 56-33-48, 56-53-18.

აუქციონის შედეგები მტკიცდება აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში. აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში „გამარჯვებული“ ვალდებულია გამყიდველთან გააფორმოს ხელშეკრულება (რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით), ქონების მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და სრულად გადაიხადოს ქონების გამოსასყიდი თანხა.

საბოლოო გამოსასყიდი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში „მყიდველს“ „ბე“ არ დაუბრუნდება და არ მიეცემა მესაკუთრის უფლება.

გამარჯვებულს „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა ჩაეთვლება სარეალიზაციო ქონების მთლიან ღირებულებაში.

აუქციონის შედეგებზე ხელმოწერის უარის მთქმელ პირს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

„მონაწილეს“ „ბე“-ს დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.

საკუთრების უფლების სანოტარო დამოწმების და აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

**დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ
შპს „საქართველოს რკინიგზაში“
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15,
მე-4 სართული, ტელ: .56-33-48, 56-53-18.**

# დღის ამბები

● საქართველო-რუსეთის საზღვართან ქართული ციტრუსით დატვირთული 70 ავტომანქანა დგას, რომელთაც რუსეთის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არ აძლევენ



◎ ინფორმაცია

## ბერძენიშვილმა უმრავლესობა აღაშფოთა

**საპარლამენტო უმრავლესობა აღშფოთებას გამოთქვამს ლევან ბერძენიშვილის მიერ ტელეეთერით გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომ უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის დიალოგი არ არსებობს.**

როგორც უმრავლესობის წევრმა გიგა ბოკერიამ აღნიშნა, ოპოზიცია ხელოვნურად ცდილობს მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანოს, როცა აცხადებს, რომ დიალოგი არ მიმდინარეობს.

ბიკერიას განცხადებით, დიალოგი ნამდვილად მიმდინარეობს, თუმცა არაფორმალურ ვითარებაში.

ამ საკითხს გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც. მისი თქმით, დიალოგი ნამდვილად მიმდინარეობს და ეს არ არის იმიტაცია.

ამ საკითხზე გააკეთა კომენტარი „დემოკრატიული ფრონტის“ წარმომადგენელმა დავით ბერძენიშვილმაც.

მისი თქმით, როდესაც დიალოგზეა საუბარი, ეს უნდა იყოს დიალოგი და არა დილოგის იმიტაცია.

ლევან ბერძენიშვილმა კი მადლობა გადაუხადა უმრავლესობას, რომ მის ტელეეთერში გამოსვლას უყურეს.

როგორც ბერძენიშვილმა აღნიშნა, მას საუბარი ჰქონდა ტელეეთერში უმრავლესობის უარზე, რომ არ შედგეს დიალოგი.

— მე საუბარი მქონდა ტელეეთერში უმრავლესობისა და ოპოზციის დიალოგზე და არა სხვა საკითხზე, — აღნიშნა ლევნა ბერძენიშვილმა.

## დიდთოვლობა იმერეთში

**მეორე დღეა, იმერეთში გადაუღებლად თოვს, ზოგიერთ რაიონში თოვლის საფარმა 40 სანტიმეტრს მიაღწია. დიდთოვლობის გამო, ჩაკეტილია ჭიათურა-საჩხერის საავტომობილო გზა.**

სინოპტიკოსების ცნობით, ინტენსიური თოვა კიდევ 3 დღე გაგრძელდება. იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში შექმნილია საგანგებო შტაბი. ყველა რაიონის გამგეობა სადღეღამისო რეჟიმში მუშაობს.

ქალაქ ქუთაისში ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხებული იყო, თუმცა, ადგილობრივი მთავრობის ძალებით, ქუჩები გაიწმინდა და მოძრაობა აღდგენილია.



## მუსიკალური სკოლის პედაგოგების პროტესტი

**თბილისის მუნიციპალური მუსიკალური სკოლის პედაგოგები ქალაქის მერიისგან სახელფასო დაფინანსების გაუქმებას აპროტესტებენ.**

ყოფილი რესპუბლიკის მოედანზე პედაგოგებმა და მშობელმა აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეების თქმით, 2007 წლის იანვრიდან მუსიკალურ სკოლებში სწავლების პროცესი მერიის მიერ აღარ დაფინანსდება და მათთვის განკუთვნილი თანხები სკოლების ინფრასტრტუქტურის განვითარებას მოხმარდება. მათივე აზრით, ეს ნიშნავს, რომ ამჟამად



არსებული 6 ლარის ნაცვლად, მოსწავლეებს ყოველთვიურად 40 ლარამდე თანხის გადახდა მოუწევთ.

მუსიკალური სკოლების პედაგოგების განცხადებით, მათთვის უმჯობესია ქალაქის ხელისუფლებამ ხელფასები დააფინანსოს, ხოლო სკოლების შენობებისა და მისი ინფრაქსტრუქტურის განვითარებისთვის თავად იზრუნებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლეების უმრავლესობა ამ თანხის გადახდას ვერ შეძლებს. ამ აზრს აქციაზე მისული მოსაწვლეთა მშობლებიც ეთანხმება.

აქციაზე „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი იოსებ შატბერაშვილიც მივიდა. მან აქციის მონაწილეებს უსაყვედურა, რომ აქცია მრავალრიცხოვანი არ იყო და ურჩია, მსვლელობა ქალაქის მერიასთან გაემართათ, რადგან ხელისუფლება ანგარიშს ხალხის რაოდენობას უწევს.

## საზღვართან ციტრუსით დატვირთული ავტოკოლონა დგას

**საქართველო-რუსეთის საზღვართან ამ დროისთვის ქართული ციტრუსით დატვირთული 70 ავტომანქანა დგას, რომელთაც რუსეთის ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არ აძლევენ.**

მანქანები საზღვართან უკვე კვირაზე მეტია იმყოფებიან, რადგან რუსეთში ქართული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი აკრძალულია. ამ დროის განმავლობაში პროდუქციის დიდი ნაწილი გაიყინა და საკვებად უვარგისი გახდა.

ჩრდილოეთ ოსეთის „როსსელხოზნადზორის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საზღვარზე მხოლოდ სამხრეთ ოსეთში წარმოებული პროდუქციის გაშვებაა ნებარდართული.

კანონის თანახმად, საგანგებო დოკუმენტების გარეშე რუსეთის საზღვარზე მხოლოდ 30 კილოგრამი მანდარინის გადატანაა დაშვებული.

## ნუ იყიდით მოჭრილ ნაძვს!

**ქუთაისში გარემოს დაცვის ინსპექციამ, ცენტრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, უკანონოდ მოჭრილი ნაძვის ჯიშის ხეების რეალიზაციის ფაქტები გამოავლინა.**

ერთ-ერთმა პირმა, რომლის ვინაობას გარემოს დაცვის ინსპექცია არ ამხელს, ტყიბულის რაიონში 150 ძირი ნაძვის ხე მოჭრა და ქუთაისში სარეალიზაციოდ ჩაიტანა. მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

სახელმწიფოზე მიყენებული ზარალი 17 ათასი ლარით განისაზღვრა. ზარალის ანაზღაურების გარდა, არ არის გამორიცხული, ნაძვის ხის რეალიზატორს თავისუფლების აღკეთაც შეეფარდოს.

გარემოს დაცვის ინსპექცია, ზემო იმერეთისა და რაჭის რეგიონში წინასაახალწლოდ რეიდებს განაგრძობს.

## ქანდაკება მოამტვრიეს

**თბილისში, ბარათაშვილის ხიდიდან წუხელ, გვიან ღამით ერთ-ერთი „შეყვარებულის“ ქანდაკება მოამტვრიეს.**

როგორც ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა კობა სუბელიანმა განაცხადა, ქანდაკება, სავარაუდოდ, მოპარვის მიზნით მოამტვრიეს, თუმცა ბოროტმოქმედებმა მისი წაღება ვერ შეძლეს.



ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

---

საქმე №2/13114-06

# განჩინება

## გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

**ქ. თბილისი** **22 დეკემბერი, 2006 წ.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ი. ადეიშვილმა ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სს „ორიონის“ განცხადება მის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით, „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-6, მე-$6^1$, მე-7, მე-8, მე-11, მე-15 და 31-ე მუხლებით.

**დაადგინა**

1. გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება სს „ორიონის“ მიმართ.

2. აეკრძალოს სს „ორიონს“ თავისი ქონების განკარგვა.

3. სს „ორიონის“ გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ლევან ლომინაძე, დაბადებული 1966 წლის 18 მაისს, მცხოვრები ქ. თბილისი, გლდანის მასივი მე-8 მკრ. კორ. I, ბინა 32, პროფესია — ინჟინერ-ეკონომისტი. განემარტოს გაკოტრების მმართველს თავისი უფლებები და მოვალეობები.

4. დაევალოს სს „ორიონის“ ყველა კრედიტორს 2007 წლის 1 თებერვლამდე: წარუდგინონ სასამართლოს თავიანთი მოთხოვნები გამოხატული შესაბამის ვალუტაში, აგრეთვე წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის საბუთი, რაც ადასტურებს მათ მიმართ სს „ორიონის“ ვალის არსებობას. ეცნობოს სს „ორიონის“ ყველა კრედიტორს, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

5. შეჩერებულ იქნას სს „ორიონის“ მიმართ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. იძულებითი სააღსრულებო წარმოება გადაეცეს გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განჩინების გამოქვეყნების შემდეგ ვალაუვალი მოვალის მიმართ ვალდებულებების შესრულება ბათილია თუ შედეგი არ შევა გაკოტრების მასაში.

6. დაევალოს ყველა იმ პირს, რომელსაც სს „ორიონის“ ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება მოთხოვნათა წაყენების ვადაში განუცხადონ სს „ორიონის“ გაკოტრების მმართველს ამ უფლების შესახებ.

7. აეკრძალოს ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს სს „ორიონის“ ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია საწარმოს მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულებაზე, ამ ნივთის დაბრუნება ან ამ ვალდებულების შესრულება. ასეთი პირი ვალდებულია ვალდებულების შესრულება ან/და ნივთის დაბრუნება მოახდინოს მხოლოდ სს „ორიონის“ გაკოტრების მმართველის მიმართ.

8. სს „ორიონის“ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დროდ განისაზღვროს 2006 წლის 22 დეკემბრის 16 საათი.

9. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეულ იქნას 2007 წლის 15 თებერვალს 15 საათზე, მისამართზე ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ: №1, დარბაზი №10, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

10. განჩინების შესახებ ეცნობოს ყველა იმ ბანკს, რომელთანაც სს „ორიონს“ აქვს საქმიანი ურთიერთობა.

11. დაევალოს სს „ორიონის“ გაკოტრების მმართველს განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილების გამოქვეყნება პრესის მეშვეობით ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით. ინფორმაცია გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზეც. გაეგზავნოთ განჩინება მარეგისტრირებელ ორგანოებს საჯარო ან სამეწარმეო რეესტრში შესატანად.

12. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მისი გამოქვეყნებიდან 12 დღის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში კერძო საჩივრის წარდგენის მეშვეობით.

**მოსამართლე ი. ადეიშვილი**

● ბატონმა შოთამ არანაკლებ წარმატებებს მიაღწია სამწვრთნელო ასპარეზზე. კვლავაც ჭაბუკურად გამოიყურება, თუმცა თვალსა და ხელს შუა ნახევარი საუკუნე გაპარვია – 50 წლისა გამხდარა. იუბილეს იგი ხელდამშვენებული ხვდება – ორიოდე თვის წინათ პაპა გახდა, ხოლო ევროპის ძიუდოს ფედერაციამ კონტინენტის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა



## ⦿ ადამიანი დროში

# ტრიუმფატორი



**გუშინ კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრში დიდი ზეიმით აღინიშნა სახელოვანი მამულიშვილის, ცნობილი ფალავნისა და მწვრთნელის შოთა ხაბარელის 50 წლის იუბილე.**

დაიბადა 1958 წლის 26 დეკემბერს ქარელის რაიონის სოფელ ძლევისჯვარში. ჭიდაობა დაიწყო გივი ზაუტაშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ ჯემალ ნათელაშვილი ავარჯიშებდა. ახალგაზრდებში 1976 წლის საქართველოს ჩემპიონმა მომდევნო წელს თანატოლთა შორის საკავშირო პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა, პოლონეთში კი საერთაშორისო ტურნირი მოიგო. 1978 წელს საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა დიდებში და შემდეგ კიდევ სამჯერ დაიმსახურა ეს ტიტული. ევროპის ჩემპიონატებზე 9 მედალი ხვდა. მათ შორის – ორჯერ ოქროსი (1979 და 1982 წ.წ.ძ, ოთხჯერ ვერცხლისა და სამჯერ ბრინჯაოსი. 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიური თამაშების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურებზე ავიდა, 1981 წელს საქართველოს ფალავნობა მოიგო, ოთჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1982-1985 წ.წ.ძ, ორ-ორჯერ მეორე და მესამე ადგილები დაიკავა. 1983 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე გაიმარჯვა, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი ერგო.

1986-1991 წლებში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. ხუთწლიანი „შესვენების“ შემდეგ – 1996 წლიდან კვლავ ეროვნულ ნაკრებს უდგას სათავეში. მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა ნაკრებმა 2006 წელს გუნდური მსოფლიო თასი მოიგო, თითოჯერ მეორე და მესამე ადგილებზე გავიდა. ევროპის გუნდურ პირველობებზე ქართველმა ძიუდოისტებმა ორჯერ ოქროს მედლით დაიმშვენეს მკერდი.

შოთა ხაბარელის აღზრდილები არიან ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი ზურაბ ზვიადაური, ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, პირად პირველობაში ევროპის ორგზის ჩემპიონი და ოთხგზის ბრინჯაოს მედალოსანი ნესტორ ხერგიანი, მსოფლიო ჩემპიონი ამირან ტოტიკაშვილი. არის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, დაჯილდოებულია ორდენებით.

– 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულ შოთა ჩოჩიშვილს გორში დიდი ზეიმი გაუმართეს, – იგონებს ბატონი **შოთა ხაბარელი**. – იმ დღეს შინ რა გამაჩერებდა – ბიჭებთან ერთად წავედი ჩემპიონთან შესახვედრად. ხელში აყვანილი მოჰყავდათ ოლიმპიადის გმირი. მაშინ ვინატრე – როდის იქნება, ჩემს სოფელში მეც ასე შემხვდნენ-მეთქი.

ძიუდოში ვარჯიში 16 წლისამ დაიწყო გივი ზაუტაშვილთან. ჯარში რომ გაიწვიეს, არმიის სასპორტო კლუბში ჯემალ ნათელაშვილთან განაგრძო წვრთნა. ჯანმაგარი ჭაბუკი საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში შეიყვანეს. 1979 წელს იტალიაში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გამარჯვებას მიაღწია. პირად პირველობაში ფინალური ორთაბრძოლა „ჰანტეით“ დათმო გერმანელ ჰაინკესთან. იგივე განმეორდა მომდევნო წელს რუმინელ ფრატიკასთან შეხვედრისას. ოლიმპიურ გუნდში მოხვედრა სათუო გახდა.

– რუსებს ჩემს წონაში ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის – ალექსი ვოლოსოვის გამოყვანა უნდოდათ ოლიმპიადაზე. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბორის მიშჩენკო მე მიჭერდა მხარს. პოდოლსკში ორკვირიანი შეკრების შემდეგ შესარჩევი შეხვედრა მომიწყვეს. ქულებით გავიმარჯვე და მოსკოვის ოლიმპიადაზეც წარმატებით ვიასპარეზე.

შოთა ხაბარელმა ზედიზედ დაამარცხა ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, გერმანელი ჰერალდ ჰაინკე, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, ბულგარელი გიორგი პეტროვი, რუმინელი მირჩა ფრატიკა და ფინალში კუბელ გოლიათს ხუან ფერერის სძლია.

– რაიონში ზღაპრული შეხვედრა მომიწყვეს. ცენტრალური ტრასიდან ჩემს სოფლამდე შვიდი კილომეტრი ზღვა ხალხით იყო სავსე. ეს გზა ბიჭებმა ხელში აყვანილი მატარეს. უსაზღვროდ ბედნიერს 1972 წელი მახსენდებოდა და თვალები ცრემლით მევსებოდა...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბატონმა შოთამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, არანაკლებ წარმატებებს მიაღწია სამწვრთნელო ასპარეზზე. კვლავაც ჭაბუკურად გამოიყურება, თუმცა თვალსა და ხელს შუა ნახევარი საუკუნე გაპარვია – 50 წლისა გამხდარა. იუბილეს იგი ხელდამშვენებული ხვდება – ორიოდე თვის წინათ პაპა გახდა, ხოლო ევროპის ძიუდოს ფედერაციამ კონტინენტის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა.

– სპორტი ჩემი ცხოვრების ნაწილია. უტატამოდ, ალბათ, ვერ გავძლებ. ჯერ ისევ ახალგაზრდულად ვგრძნობ თავს, ამიტომ ძიუდოსთვის თავის დანებებას არ ვაპირებ. 50 წელი ცოტა არ არის, მაგრამ მინდა სიცოცხლე ნახევარი საუკუნის შემდეგაც ისე გაგრძელდეს, როგორც აქამდე...

ღირსეულ მამულიშვილს – შოთა ხაბარელს ჩვენი რედაქციისა და მკითხველების სახელით ვულოცავთ იუბილეს!

**ვაჟა დანელია**

## ⦿ ორბიტაზე

### კრამნიკის მენეჯერი ტოპალოვის წინააღმდეგ

**ამას წინათ გამოვაქვეყნეთ ინფორმაცია ბულგარელი დიდოსტატის ვესელინ ტოპალოვის ინტერვიუზე ესპანურ პრესაში (იხ. „სრ“ 22.12. 06ძ. ბულგარელი მოჭადრაკე რუსეთელ კოლეგას ბრალს სდებდა მსოფლიოს აბსოლუტურ პირველობაზე მატჩში არასპორტულ საქციელზე. ის თამაშის დროს ძალზე ხშირად დარბოდა ტუალეტში, თითქოს გამარჯვებაში მას სპეცსამსახურები ეხმარებოდნენ.**



ახლა, როგორც კრამნიკის მენეჯერმა კარსტენ ჰენზელმა განაცხადა, კრამნიკი აპირებს ფიდეს ეთიკურ კომისიაში ჩივილს, ბულგარელი დიდოსტატის მკაცრად დასჯის მოთხოვნით.

როგორც იტყობინებიან, ეთიკური კომისიის სხდომა იმართება ხოლმე ფიდეს ყოველწლიური კონგრესის დროს. უახლოესი კონგრესი კი მომავალი წლის ნოემბერში უნდა გაიმართოს თურქეთში.

კრამნიკის მხარე მოითხოვს ეთიკური კომისიის სხდომის გადმოწევას და თუ კი ტოპალოვის დანაშაული დადასტურდება, მაშინ უნდა მოხდეს გარკვეული ვადით მისი დისკვალიფიკაციაო.

### სიყვარულმა „თავი დააკარგვინა“

**ადრე მისთვის უცნობი გრძნობა მოულოდნელად დაეუფლა საფეხბურთო წრეებში კარგად ცნობილ აგენტს გუსტავო მასკარდის, რომელიც მფარველობს ისეთ ვარსკვლავებს, როგორნიც არიან არგენტინის ნაკრების ვარსკვლავები რობერტო აიალა და პაბლო აიმარი.**

წარმატებული საქმოსნის გულში ბინა დაიდო სამხრეთამერიკული კინოს ამომავალმა ვარსკვლავმა აგუსტინა კორობემ.

21 წლის ლამაზმანმა უკვე მოასწრო ისეთ მძაფრსიუჟეტიან ფილმებში თამაში, როგორიცაა „ქიქა“ და „ქეიმ სიყვარული“. ამას გარდა, ის ცნობილი მოდელიცაა და ხშირად ჩნდება მამაკაცებისთვის განკუთვნილი ჟურნალების ფურცლებზე. ალბათ, **ამ სურათით** დარწმუნდებით, რომ მას ფულს ტყუილად არ უხდიან.



## ⦿ ინფორმაცია

### 2006 წლის ულამაზესნი

**დიახ, მიმავალი 2006 წლის ულამაზეს სპორტსმენ ქალად ამერიკული ყოველკვირეულის**



**Sports illustrated ექსპერტებმა მიიჩნიეს რუსეთელი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა. ამ ჟურნალის ფურცლებზე ხომ წლეულს მისი ორი ფოტოსერია გამოქვეყნდა.**

2006 წლის ულამაზეს სპორტსმენ მამაკაცად აღიარებულია ამერიკელი სერფინგისტი კელი სლეიტერი, რომელიც სპორტიდან თავისუფალ დროს მოდელადაც მუშაობს. მეორე ადგილზე კი დევიდ ბექჰემია.

### ფილმი – დიდ მოკრივეზე

**ფილადელფიაში გაიმართა მოკრივე როკი ბალბაოს ცხოვრებისადმი მიძღვნილი კინომოთხრობის მეექვსე, დასკვნითი ნაწილის პრემიერა.**

ფილმის მთელი მოქმედება ფილადელფიაში იწყება და პრემიერაც სწორედ იქ გაიმართა. ფილმის რეჟისორი, სცენარის ავტორი და მთავარი გმირის როლის შემსრულებელი სტალონეა.

## ⦿ ათლეტიზმი

# ფინიში – საახალწლო რეკორდებით

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდსა და წოლჭიმში. ტრადიციად დამკვიდრდა ამგვარი შეჯიბრების დეკემბრის მიწურულს მოწყობა, რომელიც რეკორდების სიუხვით აღინიშნება. ამჯერადაც ასე იყო.**

56 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში უნივერსიტეტელმა მსოფლიო ჩემპიონმა **ვლადიმერ ნაზღაიძემ** საკუთარი ეროვნული რეკორდი წოლჭიმში ჯერ 2,5, შემდეგ 5 კილოთი გააუმჯობესა და საბოლოოდ 155 კგ. აჩვენა.

სიღნაღელმა ათლეტმა **გიორგი ბეჟაშვილმა** (75 კგ.ძ 200,5 კგ. აჭიმა და საქართველოს რეკორდი ნახევარი კილოგრამით გაზარდა.

ჩაჯდომაში 20 წლის წინათ **ალექსანდრე აბულაძის** მიერ დამყარებული საქართველოს რეკორდი 0,5 კგ-ით გააუმჯობესა უნივერსიტეტის გუნდის ვეტერანმა **გიორგი მაისურაძემ** (100 კგძ. მისი შედეგია 305,5 კგ.

ამოწევაში საქართველოს რეკორდი დაამყარა თელაველმა ათლეტმა **ივანე კობიაშვილმა** (110 კგ.ძ. მან ჯერ 305 კგ. ამოწია, ხოლო შემდეგ ეს მიღწევა 315 კგ-მდე გაზარდა.

**წოლჭიმში** გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სიღნაღის „ამირანმა“ (19 ქულაძ, მეორე-მესამე ადგილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ამირანი“ (17 ქულაძ და თელავის „შევარდენი“ (12 ქულაძ გაიყვნენ.

**სამჭიდში** ყველას ქუთაისის





**„იმერეთმა“** (24 ქულაძ აჯობა. მეორე იყო თსუ-ს **„ამირანი“** (23 ქულაძ, მესამე – **„შევარდენი“** (19 ქულაძ.

**ორივე შეჯიბრების ჯამში** უნივერსიტეტმა 40 ქულა მოაგროვა, სიღნაღისა და თელავის გუნდებმა კი – 31-31 ქულა.

საქართველოს პირველობა ძალისმიერ სამჭიდში ჭაბუკებს (18 წლამდე) შორის **„მარნეულმა“** მოიგო, ხოლო ახალგაზრდებში (23 წლამდეძ – თელავის **„შევარდენმა“** იმარჯვა.

გაისად, 24-25 თებერვალს ნიუჯერსის შტატის ქალაქ ედისონში მსოფლიო თასი გათამაშდება. ეროვნულმა ნაკრებმა უკვე მიიღო მიწვევა, გუნდში 6 მსოფლიო ჩემპიონია. ისინი ჩინებულ სპორტულ ფორმაში არიან. ახლა მთავარია, ამერიკაში გასამგზავრებელი თანხა ვიშოვოთ.

**ზურაბ ჭავჭანიძე**

№ 257. ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 2006 წელი.

# დღევანდელობა

● „ვერასოდეს შევურიგდები საფიცრად ქცეული თაობების მიერ რუდუნებით აშენებულის ნგრევას.“







◎ საახალწლოდ გამოიცა

## დიდი მწერლის საკადრისი...

**ახლა დამწყდა გული...**

**მართლაც ძვირფასი წიგნი გამოსულა ჩვენი ჯუმბერ თითმერიას მიერ ჩაფიქრებული, შედგენილი და დიდი ქართველი მწერლის უკვდავსაყოფად გამოცემული...**

**„დაგვიანებული რეკვიემი...“**

თანამედროვენი წერენ რევაზ ინანიშვილზე, ცოცხლდება იგი მოგონებებში, ესეებში, ჩანახატებში, სხვადასხვა დროს რომ იყო გაბნეული ჟურნალ-გაზეთებში, ზოგიც კი სპეციალურად ამ კრებულისთვის დაიწერა...

გაწამაწიაში იყო ჯუმბერი, აგროვებდა მასალებს, ერთ-ორჯერ ჩემთანაც შემოიარა, თუ გაქვს რაიმე მოგონება ბატონ რეზოზე, მომეცი, შევიტან კრებულშიო...

მქონდა, როგორ არ მქონდა, ადრე – „კომუნისტში“ დაბეჭდილი. ვერ გავბედე, არ მომეჩვენა საკადრისად...

არადა, ახლა დამწყდა გული...

ჩემს მოგონებებშიც ცოცხლობს ბატონი რეზო. მაგალითად, „ქველი“ კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებაში მისი მუშაობის დროს ხშირად შევხვედრივარ რედაქციიდან მისული, ხოლო, მოგვიანებით, ჟურნალ „დილას“ მთავარ რედაქტორად რომ დანიშნეს, სულ ჩვენ შენობაში რომ გადმოვიდა (უკვე გამომცემლობა „სამშობლო“ ერქვაძ, რამდენჯერმე ბუფეტშიც კი შევხვდით. გავუთამამდი ერთხელ, ბატონო რეზო, თითო ჭიქა ხომ არ დაგველია-მეთქი. ეშმაკური ღიმილი ჩაუდგა თვალებში, თუ ექნებათ ჩემი ხაშმისთანა საფერავი, კი ბატონოო...

აბა, ხაშმის საფერავს – „დევის სისხლს“ აქ ვინ მოგვართმევდა და ჩვენც ლიმონათი დავაყოლეთ სადილს...

დღეს იგი 80 წლისა იქნებოდა. თანამედროვეთა მოგონებანი – მეგობარ მწერალთა, ხელოვანთა, მეცნიერთა ნაუბარი, უფრო სევდიან-ნაღვლიანია, ზოგან ცინცხალი იუმორითაცაა გაზავებული და ეს, ყოველივე ერთად, დიდი ქართველი პროზაიკოსის ნათელ სურათს ხატავს, მისი უაღრესად პოეტური სულის ლაბირინთებს სწვდება...

მადლობა ყველას ამ საყვარელი პორტრეტის დახატვისთვის, მადლობა, უპირველესად, ჯუმბერ თითმერიას... (ის კი არა, **თითმერიებს** – ლევანს – გამომცემლობა „საარის“ თავკაცს, თამარს – ამ წიგნის რედაქტორსძ.

სასიკეთოდ გარჯილიყავით 2007 წელსაც!

## „საგამომცემლო ლექსიკონიც“ გვაქვს!

**ვახტანგ დოხნაძე ჩვენი გამომცემლობის (ადრე რომ ცეკასი იყო და ახლა „სამშობლო“ ჰქვიაძ ამაგდარი კაცია, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, კარგა ხანია ამ გამომცემლობის მთავარი ტექნოლოგია. ამაგი დასდო ვახტანგმა, საერთოდ, ქართულ პოლიგრაფიას და ეს იმითაც დაადასტურა, რომ ახლახან „საგამომცემლო ლექსიკონი“ მიაწოდა მკითხველს. გამოცემა მით უფრო საყურადღებოა, რომ აქამდე არ არსებობდა, არადა, საგამომცემლო საქმეცა და პოლიგრაფიაც ფართო ნაბიჯით წავიდა წინ, ანუ უამრავი ახალი სიტყვა გაჩნდა, რომელთა განმარტება დიახაც საჭიროა.**

– შრომატევადი გამოდგა ეს საქმე, – ამბობს ვახტანგ დოხნაძე, – ათი წელი მაინც იქნება, რაც პოლიგრაფიულ ტერმინებს ჩემთვის ვაგროვებ, არ მქონდა გამოცემის იმედი, მაგრამ საგამომცემლო ცენტრმა მომაქცია ყურადღება და მეც საგულდაგულოდ ჩავუჯექი საქმეს. ლექსიკონი შეიცავს 1900-ზე მეტ სტატიას, რომელიც სათაურის სიტყვების მიხედვით ანბანზეა დალაგებული. გაცოცხლებულია ბევრი სიტყვა. მაგალითად, „პლაგიატთან“ ერთად შეიძლება ვიხმაროთ „კალამგირი“ („კალმის ქურდი“ გრიშაშვილის მიხედვითძ და ასე შემდეგ.

ჩვენ კი დავძენთ, რომ ვახტანგ დოხნაძემ (რომელიც თავისი დაბადების 70 წლისთავს უხელფასოდ ხვდება (თუმცა მთავარი ტექნოლოგი კი ჰქვიაძ, უაღრესად კარგი საქმე გააკეთა.

ამ ლექსიკონის საჭიროებას უმალ იგრძნობს დაინტერესებული მკითხველი.

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ აფორიაქებული განწყობით

# გარდაუვალი, როგორც ბედისწერა

**ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.**

**სულ რომ არ გიფიქრია, ისეთიც.**

სკოლაში არ ვსწავლობდი ცუდად.

ფიზიკას ვერ ვეგუებოდი მხოლოდ.

დროზე ვუგანე ამიტომაც.

კალამი ვარჩიე ფორმულებით აჭრელებულ დაფებს...

**თვენახევარია ფიზიკოსებზე ვწერ.**

**ჯემალ მეზონია.**

**თენგიზ სანაძე.**

**ვახტანგ ტუსკია.**

**ახლა კიდევ მედეა სიხარულიძე.**

სხვებთან შედარებით ახალგაზრდა, სანდომიანი მანდილოსანი. ხალისიანი მოსაუბრე.

სიცოცხლით სავსეო რომ იტყვიან, ისეთი.

ქალაქის სასამართლოს მიერ „წვრილმან ხულიგნად“ შერაცხული.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტში მიმდინარე გაურკვეველი რეფორმების საპროტესტოდ პირველი კორპუსის წინ საზაფხულო არდადეგებისას გამართულ აქციებში აქტიურად მონაწილეობისათვის ასი ლარითაც დაჯარიმებული.

მანდილოსნებს ასაკს არ ეკითხებიან. დაუწერელი კანონია ასეთი, ისინი ყოველთვის იმდენისანნი არიან, რამდენისებადაც გამოიყურებიან.

არც მედეასთვის მიკითხავს დაბადების წელი. მისი ამ ქვეყნად მოვლინების დღემ დამაინტერესა მხოლოდ.

განსაკუთრებულმა.

ერთადერთმა.

არაფერს მორიდებია, ბანქოს ქაღალდივით გადამიშალა ყველა თარიღი.

კონკრეტულად.

ზუსტად.

მაინც საიდუმლოდ ვტოვებ ზოგიერთს, მხოლოდ გამორჩეული გამომაქვს სამზეოზე.

სამ იანვარს დაბადებულა.

ჰოროსკოპების ბევრი არაფერი მწამს, მაგრამ რამდენადაც საუბარი მანდილოსანს ეხებოდა, მაინც ჩავიხედე შიგ.

უფრო მეტიც; ზოგი რამ უბის წიგნაკში ჩავიწერე, წავუკითხე კიდეც.

პლანეტა სატურნი ჰყოლია მფარველად.

ზოდიაქოს ნიშანი – თხის რქა.

ჰოროსკოპის მიხედვით უნდა იყოს მორჩილი, დამყოლი. მიღწეულითაც ბედნიერი.

ასეც არის.

მხოლოდ ერთი შეხედვით.

სინამდვილეში იშვიათად არის კმაყოფილი წარმატებით, რომელსაც ჩემისთანა ვერძები განსაკუთრებულ წინსვლად ჩათვლიდნენ.

მიზანდასახულებიც არიან თხის რქები.

შრომისმოყვარეები.

დაბრკოლებებს მეთოდურად სძლევენ.

ჟინიანად.

თანდათანობით.

უკან დახევა არ უყვართ.

კარგად აქვთ განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა. არიან ერთგულები.

მიიდრიკებიან მარტოობისაკენ.

ეს მათი სისუსტის ნიშანი არ არის. ძალაუფლების მოყვარულებს სჩვევიათ ამგვარი რამ.

შეუძლია დაგარწმუნოთ, რომ არის „საბედისწერო ქალი,“ რაც მჩქეფარე თავგადასავლებისკენ სწრაფვის მაჩვენებელია.

ხშირად არის დაძაბული.

უჭირს განმუხტვა.

„შენობითაა“ იუმორთან.

ჰოროსკოპის მიხედვითაა ასე.

ზოგადად.

შორიდან.

სინამდვილეში...

საქმიან შეხვედრებზე ვყოფილვართ ერთად.

ზერა-ქვერა სუფრასთანაც ვმსხდარვართ.



შემთხვევა არ გამიშვია ხელიდან.

გულდასმით ვაკვირდებოდი ყოველთვის.

ფრთხილად.

უცხო თვალისგან მოფარებულად.

გაორებული დავრჩენილვარ არაერთხელ.

ჰოროსკოპიც ამიტომ მოვიშველიე.

შეფასება ვთხოვე.

გადაათვალიერა.

ზერელედ.

სხვათა შორის.

მომეჩვენა, რომ ჰქონდა უკვე წაკითხული.

შეიძლება არაერთხელაც.

ნაფიქრიც.

აღიარა, არ ვარო ადვილად სამართავი.

საუბარში სხვათა აქტიური მონაწილეობა ჩემთვის ერთგვარი საბუთი იყო. ნათქვამის დამადასტურებელი. თუმცა ასეთი რამის აუცილებლობა თვითონვე გამორიცხა.

პირდაპირობით.

გულახდილობით.

დაუფარავად ყვებოდა ხასიათის სიმტკიცეზე.

სისუსტეებზეც.

თქვა. სხვებმაც ერთხმად დაუდასტურეს.

**მოქმედებს თურმე მხოლოდ საკუთარი რწმენით. სიმართლეში დაჯერებულს ვერ შეაჩერებს ვერანაირი წინაღობა.**

ცოდვა გამხელილი სჯობს:

მართლა არ სჩანს იოლად გასატეხი კაკალი.

უცნაურად მეჩვენა ისიც, რომ უმთავრესად იდეისადმი თავდადებას მიიჩნევს, შემდეგ მოყვასისა და საქმისადმი ერთგულებას.

რატომღაც გამაღიზიანა ამ მამაკაცურმა შემართებამ.

ბოლომდე ჩავდიე.

რომელია-მეთქი უპირველესი.

იდეა?

ადამიანი?

იდეაო, მომახალა უყოყმანოდ. იდეისთვის ღირსო თავის გადადება, სიცოცხლის გაღებაც. ცხადია, საქმისა და ადამიანისთვისაც, როცა საჭირო და აუცილებელია ეს.

ვერ დავმალავ:

გამიკვირდა მანდილოსნისგან ასეთი კატეგორიულობა. საფიქრალად გამომყვა.

ახლა ვხვდები, გარკვეული დროის შემდეგ ვრწმუნდები, გულისხმობდა იმას, რომ **ხშირად ბევრს სულაც არა აქვს არანაირი იდეა, მოქმედებს ინსტინქტურად,** განსაკუთრებული მიზნების გარეშე.

იშვიათად არ ხდება ეს.

დღეს მაინც.

ცხოვრებაც არ ჰქვია ამას.

არსებობაა მხოლოდ.

ჰოროსკოპისეული ვარაუდიც დამიდასტურა. მართლაც არ მიყვარსო უკან დახევა.

არ გამკვირვებია. ქვეყანას ასეთები აშენებენ.

მარტო აგურით, ცემენტით კი არა, იმ შეუპოვრობითაც, რასაც მიზანდასახულობას ვეძახით მოკვდავები.

მოკვდავობა ვახსენე, მაგრამ მედეა სიხარულიძის უკვდავობაზე არ მიფიქრია ნაღდად.

არც მაშინ, არც მერე.

წერის დროს.

ნამეტანი სასაცილო იქნებოდა ასეთი რამ.

უბრალოდ, უკეთურობასთან ამგვარმა შეურიგებლობამ დამაფიქრა.

იოლად არაფერს თმობენ ასეთები.

ბედთან მათი შერიგებაც მხოლოდ ვიზუალურია.

გარეგნული.

ზედაპირული.

მარტოობაც უყვართ.

მართლაცო, არ დაუხევია უკან.

**განმარტოება მისთვის ცხოვრებისგან გაქცევა არ არის. საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და უკეთ შეცნობის საშუალებაა მხოლოდ.**

ყველაზე მეტად დამფრთხალი ჩიტებივით გაფრენილი წლები ადარდებს.

მოუბრუნებლად წასულები.

უკვალოდ გამქრალები.

ბევრი დრო დავკარგეო ფუჭად, შეიძლებოდაო მეტის გაკეთება.

ლაპარაკობს.

სახეში გიყურებს.

თვალებს მორცხვად არ ხრის.

გულწრფელია და იმიტომ.

თავის დროზე ეროვნულ მოძრაობაშიც უაქტიურია. ხელში ავტომატი არ სჭერია, მაგრამ ქვეყნის თავისუფლების მოსაპოვებლად არ დანანებია სამხედრო საჭურველზე გაცილებით ძლიერი იარაღი – სიცოცხლე.

დღესაც მტკივნეულად განიცდის ბევრ რამეს.

მაშინდელს.

ახლანდელსაც, სხვათა შორის.

„ვერასოდეს შევურიგდები საფიცრად ქცეული თაობების მიერ რუდუნებით აშენებულის ნგრევას.“

არ მიკითხავს, საგანგებოდ არ ჩავძიებივარ, თუ ვის ან რას გულისხმობდა საფიცრად ქცეულ თაობებსა და ნგრევაში.

უბრალოდ მივხვდი, რომ უნივერსიტეტი ეგუმანებოდა. იქ განვითარებული მოვლენები აწუხებდა.

ეტყობოდა ისიც, რომ ბრძოლა მისთვის უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ მეცნიერება და მოსაწყენი ყოველდღიურობა.

უბრალოდ სამყაროს შეცნობისაკენ მიმავალი გზაა.

შეიძლება საკუთარ შესაძლებლობებში გარკვევის საშუალებაც.

საბრძოლო იარაღი.

**ვუყურებდი და უცებ მომეჩვენა, რომ ავაზის განაბულობაში ერთგვარი მელანქოლიური ნოტებიც ჟღერდა.**

**არ გამკვირვებია.**

**ბოლოსდაბოლოს დედა ლაპარაკობდა, ბებია, ზოგადად ქალი, რომლისთვისაც ხმლის გაშიშვლება მანდილოსნობაზე გაცილებით ძნელია.**

**მძიმე, მაგრამ მაინც გარდაუვალი, როგორც ბედისწერა.**

**რობერტ ძერია**

№ 257. ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 2006 წელი.

**აქ ალარავინ ნადირობს, შეჩერდა ტყის ჭრა, ხალხმა დაინახა, რომ ჩვენით ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი დაინტერესდა და ისინიც უფრთხილდებიან ღვთისგან ნაბოძარ ამ საოცრებას...**



**ეს ჩვენი საქართველოა**

# ჭაჭუნის აღკვეთილი — ბუნების კიდევ ერთი საოცრებაა

**დედოფლისწყაროს რაიონის მდინარე იორის დაბლობში მდებარეობს ჭაჭუნის აღკვეთილი, რომელიც მდინარეს ორივე მხარეს მიუყვება. მისი სიგანე დაახლოებით 6 კმ-ს შეადგენს, ხოლო სიგრძე — 70 კმ-ია.**

1996 წლამდე სატყეო-სამონადირეო მეურნეობა გახლდათ, 1996 წლიდან კი გარდაიქმნა ეგრეთ წოდებულ ტერიტორიად, რომლის ფართობი ბუფერულ ზონასთან ერთად 21 200 ჰა-ს შეადგენს, აქედან 5200 ჰა სახელმწიფო ტყის ფონდია. აღკვეთილი ამ ტერიტორიაზე არსებული ბიო-მრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით შეიქმნა.

ჭაჭუნის აღკვეთილის ლანდშაფტს ძირითადად ჭალის ტყეები ქმნის. ტყის ძირითადი ჯიშებია: მუხა, ვერხვი, მინდვრის თელა, კვიის ხე, ლვია, აკაკი. ქვეტყეს ქმნის პანტა, ტყემალი, გვხვდება ბუჩქნარი: ძეძვი, კონახური, ბროწეული, კუნელი, იალღუნი, ფშატი, შინდანწლა. ჭაჭუთის აღკვეთილი მცენარეების მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა: ლიჭი, მაყვალი, კატაბარდა, რომლებიც ქვეტყესთან ერთად გაუვალ ადგილებს ქმნის. ეს კი საუკეთესოა ნადირ-ფრინველის თავშესაფარად, ბუდობისათვის და საკვებ ბაზად.

ჭაჭუნის აღკვეთილი ცხოველთა მრავალი საინტერესო სახეობით ხასიათდება. აქ შეხვდებით სხვადასხვა სახის ამფიბიას. ძუძუმწოვრებიდან გვხვდება: მურა დათვი, მგელი, ტურა, კურდღელი, ტყის და მინდვრის მელა. აღკვეთილის ტერიტორიაზე აღწერილია ზოლებიანი აფთარი, რომელიც ძალზე დიდ იშვიათობად იქცა და გადაშენების პირას არის მისული.

აღკვეთილის ტერიტორიაზე საქართველოში აღწერილი ფრინველთა კლასიდან 95 პროცენტზე მეტი გვხვდება. მათ შორის — ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, სვავი, მიმინო, ქორი, ბუ, ჭოტი. საქართველოში აღწერილი ე. წ. ბეჭობის არწივის 12 წყვილიდან აღკვეთილის ტერიტორიაზე 5 წყვილი ბუდობს.

როგორც ჭაჭუნის აღკვეთილის დირექტორმა კაკო ტეტელოშვილმა მითხრა, აღკვეთილის ბიომრავალფეროვნების და თავისებური ბუნების შენარჩუნებისა და შემდგომი განვითარებისათვის დიდ ყურადღებას იჩენენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი (თავმჯდომარე გიორგი შონვაძეძ და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWFძ კავკასიის „პროგრამ-ოფისის“ დირექტორი გიორგი სანადირაძე. მათი ხელშეწყობით და აღკვეთილის მცველი-რეინჯერების — სტეფანე ბატიაშვილის, გოჩა დავითაშვილის, ნოდარ იაკობიშვილის და სხვათა მონდომებით ჭაჭუნის აღკვეთილი საიმედოდ არის დაცული.



— აქ ალარავინ ნადირობს, შეჩერდა ტყის ჭრა, ხალხმა დაინახა, რომ ჩვენით ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი დაინტერესდა და ისინიც უფრთხილდებიან ღვთისგან ნაბოძარ ამ საოცრებას... აღნიშნა აღკვეთილის კვლევა-მონიტორინგის უფროსმა სპეციალისტმა დალი თავდიდიშვილმა.

დირექტორმა კაკო ტეტელოშვილმა სამომავლო გეგმებიც გამაცნო. აღკვეთილის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მოეწყოს ე. წ. ფრინველთა მოსაზიდი „რესტორანი“, სადაც მოეწყობა სპეციალური საკვებურები, რომლის საშუალებითაც მოხდება მტაცებელ ფრინველთა მოზიდვა და ტურისტებს შესაძლებლობა მიეცემათ მათზე მოახდინონ დაკვირვება. ამის განხორციელება დაგეგმილია მსოფლიო ბუნების დაცვის ფონდის დახმარებით.

გათვალისწინებულია საცხენოსნო ტურიზმის დანერგვა, დალის მთის წყალსაცავიდან 10-15 კმ-ის მანძილზე კი შეიძლება მდინარე იორში განვითარდეს სანაოსნო ტურიზმი მცირე ზომის ნავების გამოყენებით.

რაიონის თავკაცის გელა იაკობიშვილის და მისი გუნდის დახმარებით გათვალისწინებულია შემოწირულობებით აიგოს ეკლესია საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე, ეს უფრო მიმზიდველს გახდის პირველქმნილი ბუნების სიმშვენიერეს.

აღკვეთილის ბუნებას აქვს გადარჩენისა და სიცოცხლის უფლება — ასე ფიქრობენ ლაგოდეხელები.

**ნანა ჭიჭინაძე,**
*„სრ“ საკ. კორ.*

**არდავიწყება**

# სიყვარულს წარსული დრო არ აქვს

**ამ სენტენციის დასტური გახლდათ ამ დღეებში გამართული ერთი მშვენიერი საღამო, რომელიც ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ჟურნალისტის, მკვლევრის, ლექტორ-პედაგოგის, პოლიტოლოგისა და საზოგადოებრივ მეცნიერებაში ღრმად განსწავლული, იშვიათი პიროვნული ხიბლის მქონე ქალბატონის ნატა თათარაშვილის ხსოვნას მიეძღვნა. შეხვედრა საერთაშორისო ასოციაციის „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ ინიციატივით ასოციაციის მემორიალურ დარბაზში გაიმართა (ნატა თათარაშვილი ამ ასოციაციის აქტიური წევრი იყოძ.**

ნატა თათარაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს ასოციაციის ხელმძღვანელებმა, მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა, თანამოსაგრეებმა და ახლობლებმა. მათ ერთხელ კიდევ გაიხსენეს ადამიანი, რომელმაც დიდი ხანი არ არის, რაც ზეციურ საქართველოში დაივანა, მაგრამ დიდია მისი მონატრება. ამიტომ გამომსვლელთა მოგონებებს ახლდა ცრემლიც და ღიმილიც, რადგან უსათნოესი, მშვენიერი და ადამიანურ ურთიერთობათა იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული ნატა თათარაშვილი, ხალასი იუმორით აღსავსე ქალბატონიც გახლდათ.

დამსწრეთ გადაეცათ ოჯახის წევრების მიერ ნატას ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნი — „კვალი სიკეთისა და სათნოებისა“. ეს შეხვედრა-მოგონება ამ წიგნის წარდგენაც იყო საზოგადოებისთვის. მასში დასტამბულია ახლობლების, მეგობრების, კოლეგებისა და სტუდენტების მოგონებები ნატა თათარაშვილზე, აგრეთვე მისი მეცნიერული შრომები და უცხოეთსა და საქართველოში მისივე გადალებული ისტორიული მნიშვნელობის პროფესიული დონის ფოტოები. წიგნის შემდგენელრედაქტორები არიან ცნობილი ადამიანები: პოეტი ემზარ კვიტაიშვილი და მეცნიერი ნესტან სულავა. აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნის გარეკანს ამშვენებს ნატასავე საუცხოო მხატვრული ფოტო, სიმბოლურად მისი ცხოვრების დაისს რომ წარმოადგენს: „მზის ჩასვლა ზღვაზე“, რაც უთუოდ წიგნის გამომცემლის მიგნებად უნდა ჩაითვალოს.

ამ ინფორმაციის სათაურში გამოტანილი სიტყვები კი „სიყვარულს წარსული დრო არ აქვს“, ნატა თათარაშვილის სტუდენტობის მეგობრისა და კოლეგის ნუგზარ ნაცვლიშვილის ნატასადმი მიძღვნილი წერილის ამონარიდია.

ქალბატონმა მერი კანდელაკმა და ბატონმა დავით სალარიძემ მადლობა მოახსენეს ასოციაციის ხელმძღვანელებს მაია კვეზერელ-კოპაძეს და ნელი გურგენიძეს მათი შვილისა და მეუღლის გახსენებისა და დაფასებისთვის.

**დასასრულ, საღამოს ერთგვარი აკორდი იყო ნატასთან ერთად გატარებული წუთები... ტელეეკრანზე გამოჩნდა მისი მომღიმარი, ნათელი სახე. ვუყურებდით ჟურნალისტ თამარ ბოლქვაძის მიერ 2000 წელს ჩაწერილ ტელე-ინტერვიუს მისივე გადაცემისთვის „ეძიე ქალი“, რომელიც ავტორს, იმ დღისთვის საგანგებოდ მოეტანა...**

**ბელა დურგლიშვილი**

№ 257. ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 2006 წელი.

**გვეკითხებიან, ვუპასუხებთ**

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდი. ვცხოვრობ თბილისში. მეკუთვნის თუ არა უფასო სამედიცინო პოლისი?**

**ლევარსი ბიბილეიშვილი**

**პასუხი:** კანონის ფანახმად ომის ინვალიდები სარგებლობენ უფასო სამედიცინო პოლისით.

* * *

**კითხვა: ვარ 57 წლის, მაქვს 3 წლის შრომის სტაჟი. ამ რამდენიმე თვის წინათ ყოვლად უმიზეზოდ გამათავისუფლეს სამუშაოდან, ვითომ და რეორგანიზაციის მოტივით.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მაქვს თუ არა ჩემი სტაჟის მქონეს, რაიმე სახის პენსიის მიღების, უფლება?**

**ელეონორა გიორგაძე**

**პასუხი:** ქალბატონო ელეონორა, მოქმედი კანონის თანახმად, პენსიის დანიშვნა დამოკიდებულია არა შრომის სტაჟზე, არამედ ასაკზე.

ქალებს მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ 60 წლის ასაკში, ხოლო ინვალიდობის პენსია მხოლოდ იმ პირებს მიეცემათ, რომლებიც სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ ცნობილი არიან I ან II ჯგუფის ინვალიდად.



* * *

**კითხვა: ვარ 61 წლის ქალი, არასოდეს არსად არ მიმუშავია, ვუვლიდი ოჯახს და გავზარდე 3 შვილი.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ მეკუთვნის თუ არა ასაკის პენსია?**

**ლალი მინდელი**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით პენსია გეკუთვნით და მისი დანიშვნის თაობაზე, გირჩევთ დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის ფილიალს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

შპს „სამთო მაშველი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: **კოსტავას ქ. №65. ტელ. 33-19-58.**

**ხსოვნა**

# რეზო ორჯონიკიძე



ჩვენო საყვარელო ბატონო **რეზო!** ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. უშენოდ თითქოს დაცარიელდა შენი ლამაზი ოჯახი. მოაკლდი შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, მაგრამ ყველაზე მეტად უსაყვარლეს, უმშვენიერეს მეუღლეს, ქალბატონ ელენეს, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე გილამაზებდა ცხოვრებას, მის გარეშე ამ ქვეყნად ყოფნა ხომ ვერც წარმოგედგინა.

ბატონო რეზო, ბედმა მეტად მძიმე ხვედრი გარგუნა, ოთხი წლისამ საბედისწერო შემთხვევის გამო დაკარგე სმენა, მხედველობა და მეტყველების უნარი. საუკეთესო მკურნალობით მალე მხედველობა და მეტყველების უნარი დაგიბრუნდა, სმენას კი ვერაფერი უშველეს. გასაოცარი ნებისყოფისა და მონდომების წყალობით წარჩინებით დაამთავრე სკოლაც და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტიც.

იმ უდიდეს ნიჭთან ერთად, რასაც მწერლობა და მთარგმნელობითი მოღვაწეობა ჰქვია, ადამიანების სიყვარულის ნიჭითაც იყავი გამორჩეული. თითოეულ ადამიანში მხოლოდ კარგს ხედავდი, ყველას უანგაროდ ეხმარებოდი და მათი სიხარული გახარებდა. დიდი განათლება, ერუდიცია და საგამომცემლო საქმის უბადლო ცოდნა დაგეხმარა სამ ათეულ წელზე მეტი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ მოღვაწეობისას. შესანიშნავად გრძნობდი ქართული სიტყვის ძალას მთელი მისი მშვენიერებით, არასოდეს არაფერი გამოგრჩებოდა და გაგაჩნდა უტყუარი ალღო აზრის უბადლოდ გადმოცემისა.

როგორც ქალბატონმა ელენემ გაიხსენა, ერთხელ პოეზიის მეფის გალაკტიონისთვის პოემაში ერთი-ორი სიტყვა შეგიმცირებია, რისთვისაც მისი გამოცემის შემდეგ დიდ პოეტს შენთვის მადლობა უთქვამს. ეს უდიდესი შეფასებაა, ბატონო რეზო, შენი განსაცვიფრებელი ნიჭის, ცოდნის, რედაქტორული ალღოსი და ინტელექტისა.

ბატონო რეზო, შენმა კოლეგებმა გაიხსენეს, კიდევ ერთი საოცარი უნარი გაგაჩნდა თურმე, შეგეძლო ერთი ხელის მოსმით გაგექარვებინა მათთვის დარდი ან უსიამოვნება. ისეთი ძალა ჰქონდა მომღიმარი სახით ნათქვამ შენს კეთილ სიტყვას, რომ დარდი წამსვე ავიწყდებოდა ყველას.

ბატონო რეზო, ამიტომ არის, რომ არამარტო ოჯახს და ახლობლებს მოაკლდი, მოაკლდი კოლეგებს, მეგობრებს და იმ ნაცნობებსაც, ვინც თუნდაც ერთხელ გნახა. ახლა ქალბატონი ელენე შენს მაგივრადაც იქნება ძვირფასი შვილების — მარიკას და მამუკას, უსაყვარლესი შვილიშვილების — სალომეს, ნინოს, სოფიოს, რეზოს, შვილთაშვილების — ნინოს და მარიამის იმედი და ნუგეში, რომლებისთვისაც მუდამ მისაბაძი მაგალითი იქნება დიდი პაპის რეზო ორჯონიკიძის ადამიანების სიყვარულითა და სიკეთით განვლილი ცხოვრება და იამაყებენ, რომ შენი შთამომავლები არიან.

ბატონო რეზო, ვერასოდეს დაგივიწყებთ და შევთხოვთ უფალს ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ოჯახის, ახლობლების, კოლეგებისა და მეგობრების სახელით*

**ლილი მაისურაძე-მორგოშია**

● უკანასკნელ დღეებს ითვლის ძველი წელიწადი. სწორედ 2006 წლის ერთ-ერთ ბოლო დღეს თბილისის 89-ე საჯარო საშუალო სკოლის დარბაზს „ქაღალდის თოვლის ფიფქები“ „ათოვდა“...



№ 257. ოთხშაბათი, 27 დეკემბერი, 2006 წელი.

◉ სულ გეზეიმებოდეთ!



# ერთი ხურჯინი სიხარული

**უკანასკნელ დღეებს ითვლის ძველი წელიწადი. სწორედ 2006 წლის ერთ-ერთ ბოლო დღეს თბილისის 89-ე საჯარო საშუალო სკოლის დარბაზს „ქაღალდის თოვლის ფიფქები“ „ათოვდა“... ათასგვარი ბრჭყვიალა სათამაშოებით მორთულ ხელოვნურ ნაძვის ხეს გვერდით ჩიჩილაკი ედგა. ორი კლასის (II და VI) მოსწავლეები შობა-ახალ წლის შესახვედრად საზეიმოდ გამოწყობილიყვნენ, მეხუთეკლასელები მასწავლებლის ნანა ქობულაძე-გუჯეჯიანის ყოფილი მოსწავლეები არიან, ამიტომაც ამ პედაგოგმა წინა საახალწლო სამზადისში ორივე კლასს „ერთი ხურჯინი“ საახალწლო სიხარული აჩუქა. ამით კიდევ ერთი ნათელი კვალი გაავლო ამ ორი კლასის მოზარდთა მეგობრობაში.**

— ...„შობა გათენებულა, ქრისტე დაბადებულა...“ წამოიწყეს სიმღერა მეხუთეკლასელებმა. მათ პირველკლასელებიც აყვნენ... ელენე ყაჯრიშვილმა „თოვლის ვარსკვლავებიც“ დაუშვა ძირს.; პატარა მაგიდებზე სანთლები აინთო... სიმღერას ცეკვა მოჰყვა, ცეკვას კვლავ სიმღერა — „25 დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო და...“ შემდეგ ელენე ყაჭრიშვილმა ცეკვა აჭარული წამოიწყო, მას უფროსკლასელები აყვნენ და ზეიმის მონაწილე ორი კლასის მოსწავლეების ჟრიამულში ჩაიძირა დარბაზი...

მალე თოვლის ბაბუამ საჩუქრებიც დაარიგა.



...სევდაც დაჰკრავდა მათ ზეიმს. იყო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ხსენება. მოსწავლეებმა არ დაივიწყეს ისინი, ვისაც ლტოლვილობის მიზეზის გამო შესაძლებლობა არა აქვს თავის მშობლიურ მიწა-წყალზე, თავის წინაპართა კერაზე შეხვდეს შობა-ახალ წელს (ამ სკოლაში აფხაზეთიდან ლტოლვილებიც სწავლობენ.ძ.

— დავივიწყოთ ტკივილი და წყენა, — ამას წარმოთქვამდნენ ის ბავშვები, რომლებიც თბილისში დაიბადნენ, მაგრამ მშობლების კვალს მიჰყვებიან და აფხაზეთში ჩასვლას ნატრობენ... ასეთი იყო გაგრელი გიორგი და ნანა გიორხელიძეების, მეხუთეკლასელ თათია იაკობიძის და სხვების ნატვრა...

**— რას ინატრებთ საახალწლოდ?** — ეკითხება მასწავლებელი.

— ომის საფრთხე აშორებოდეს ყველას, აფხაზეთში დავბრუნებულიყავით.

ზეიმი მშობლების თვალწინ მიმდინარეობდა. მშვიდობა და დღეგრძელობა უსურვეს ზეიმის მონაწილეებს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნუგზარ პოპიაშვილმა, მშობელმა ლალი ფიფიამ და სხვებმა.

**ნათელა ფაილოძე**

**სურათებზე: ზეიმი 89-ე საჯარო სკოლაში.**

**ჯავარ ლომაძის ფოტო.**

## გია ჭანტურია 65 წლისაა



*საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ და თბილისის ჭიდაობის ფედერაცია დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავენ ამავე საზოგადოების აქტიურ წევრს, დამსახურებულ ინჟინერს, ღირსეულ ადამიანს გია ჭანტურიას.*

*ჩვენო გია! უკვე წლებია ერთგულ მეგობრად გვეგულები. შენ სხვაგვარად არც შეგიძლია. არ იდარდო, 65 წელი არც ისე დიდია ცხოვრებისათვის. უამრავი სიკეთისა და სითბო-სიყვარულის მთესავს წინ კიდევ ბევრი საქმე გაქვს გასაკეთებელი.*

*გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და გისურვებთ მხნეობას და ბედნიერებას.*

*რომან რურუა, ვლადიმერ კანკავა, თამაზ მაჭავარიანი, ომარ ბლიაძე, ესტატე გოგლიჩიძე, თემურ აფხაზავა, ზარიბეგ ბერიაშვილი, თემურ ხუბულური, ზურაბ ჯორჯიკია, თემურ ქურციკიძე, კოტე ღუღუნიშვილი.*

## ცამდე აწვდილი მადლიერება

*საქართველოში ისე გაიშვიათდა მადლობის სათქმელი სიტყვები, რომ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს კიდეც ჩვენი წერილის შინაარსი.*

*ა.წ. 6 დეკემბერს 18 წლის გიორგი ადუაშვილი უმძიმეს მდგომარეობაში შეიყვანეს 31-ე ქარხანასთან არსებულ მე-5 საავადმყოფოში ძლიერი სისხლდენით.*

*უიმედო მდგომარეობაში, მრავალშვილიანი ოჯახის შვილი, სისხლით დაცლილი, დედის სითბოს მოკლებული ყმაწვილი სიკვდილს ხელიდან გამოსტაცეს ბრწყინვალე მედიკოსებმა: განყოფილების გამგემ გვანცა ჯაფარიძემ, ექიმებმა გოგი ხაბეიშვილმა, მაია კახიძემ, მამუკა და ინგა აბუაშვილებმა, მანანა ზურაბაშვილმა, უფროსმა ექთანმა აზა შეყილაძემ, სისხლის გადასხმის ცენტრის ხელმძღვანელმა თამაზ გვალიამ. აღფრთოვანებული ბებია და მამა დიდ მადლობას უხდიან და უფლის მფარველობას უსურვებენ გიორგის მხსნელებს.*

*ბებია*
*როზა ადუაშვილი;*
*მამა*
*მალხაზ ადუაშვილი.*

◉ ანეკდოტები

მიხო მულტიმილიონერთან მივიდა.

— სარფიანი წინადადება მაქვს, — ეუბნება. — თუ ამ საქმეს მოვაკვარახჭინებთ, თითოეულს 300 ათასი დოლარი შეგვხვდება.

— სამასი ათასი დოლარი კარგი ფულია. აბა, რა წინადადება გაქვს?

— გავიგე, რომ ქალიშვილს მზითევში 600 ათას დოლარს ატანთ. მე კი მზად ვარ, 300 ათასად შევირთო!

* * *

სასწრაფო დახმარების ბრიგადა მეტისმეტად დაბოლილ ნარკომანს ასულიერებს.



ისიც თითქოს გამოვიდა მდგომარეობიდან, ირგვლივ მიმოიხედა, ვიღაცეები შენიშნა:

— შენ ვინა ხარ?

— დედაშენი ვარ, შვილო.

— ჰოო. შენ კი ვინა ხარ?

— მე ექიმი ვარ.

— ჰოო... აბა შენ ვინა ხარ?

— მეც ექიმი ვარ.

— ჰოო... რაო, ტყუპები ხართ?

* * *

ნაბახუსევი ივან ივანიჩი დაბოღმილია, თავისთვის ბურტყუნებს: — აბა, რა სიკეთეს უნდა ელოდე კაცი ამ ახალი წლისგან, რომელიც, ჯერ ერთი, ღორისაა და, მეორეც, ორშაბათს იწყება!

* * *

ქმარი ცოლს ამშვიდებს:

— ძვირფასო, ჩემ უბის წიგნაკში ასო „ბ“-ს ქვემოთ ჩამოწერილი ქალების სახელები იმას კი არ ნიშნავს, რაც შენ გგონია, არამედ „ბულალტერიას“.

* * *

ჯერ მერცხალზე დაქორწინდები, მერე კი იმ პინგვინთან ცხოვრობ.

## მილოცვა

*სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილების გამგეს, მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, შესანიშნავ პიროვნებას ანზორ ბრეგაძეს ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამეცნიერო ასპარეზზე.*

*ფილოსოფიის ინსტიტუტის სახელით,*
*დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი*
**ირაკლი კალანდია**

◉ კადრი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

მორიგი ნომერი გამოვა პარასკევს, 29 დეკემბერს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
მამუკა ვაშაკიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.